

საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები  
XXVII

რუი გონსალეს დე კლავისოს ცნობები  
საქართველოს შესახებ

ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო  
ელდარ მამისთვალისვილმა

ნაშრომში წარმოდგენილია ცნობილი კასტილიელი (ესპანელი) დიპლომატის რუი გონსალეს დე კლავიხოს წიგნიდან „ელჩობა თემურ-ლენგთან“ ამოკრებილი ცნობები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს მდგომარეობის და მისი მეფის გიორგი VII-ის მოღვაწეობის ზოგერთი მომენტის აღსადგენად ან ახლებურად გააზრებისათვის.

Издание содержит сведения кастилийского (испанского) дипломата Рюи Гонсалеса де Клавихо из книги „Посольство к Тимур-Ленгу“, касающиеся положения Грузии и деятельности ее царя Георгия VII на рубеже XIV—XV веков.

### მთავარი სარედაქციო კოლეგია

მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, გ. მელიქიშვილი, გ. ნადარეიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარია-ბროსე.

სერიის რედაქტორი თ. ყაუხჩიშვილი  
ტომის რედაქტორი კ. ტაბატაძე

### Главная редакционная коллегия

М. Д. Абашидзе, З. Н. Алексидзе, Ш. В. Дзидзигური (главный редактор), В. И. Дзидзигури, Т. С. Каухчишвили, Г. А. Меликишвили, Г. А. Надарейшвили, Э. В. Хоштария-Броссе

Редактор серии Т. С. Каухчишвили  
Редактор тома К. Г. Табатадзе

რეცენზენტები: ფილოლოგ. მეცნ. კანდიდატი გრეტა ჩანტლაძე  
ისტორ. მეცნ. კანდიდატი გია გელაშვილი

## საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან. სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ. თბ., 1976.

2. ა ბ რ ა მ ე რ ე ვ ა ნ ც ი. ომების ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976.

3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977.

4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა. შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1978.

5. გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977.

6. ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე. ატენის სიონის სომხური წარწერა, თბ., 1978.

7. ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბ., 1977.

8. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.). ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978.

9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978.

10. ქათბი ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1978.

11. Яков Цуртавели. Мученичество Шушаник. Перевод В. Д. Дондуа. Введение и примечания Э. Н. Алексидзе. Тбилиси, 1978.

12. Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе. Тбилиси, 1979.

13. Сუმბატ Дავითის-ძე. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тбилиси, 1979.

14. მუხტაფანაიშა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევისა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1979.

15. ზაქარია აგულეცი. დღიური. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1979.

16. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ. თბ., 1979.

17. არსენი საფარელი. განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ. თბ., 1980.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV. ძველი ბერძულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1980.

19. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, I), აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი ლაპიდარული წარწერები, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX—XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგაევმა. თბ., 1980.

21. ცხოვრება საქართველომსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980.

22. Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1980.

23. კ. კობისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა. თბ., 1981.

24. ისქანდერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. სპარსული ტექსტი, გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა. თბ., 1981.

25. პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ მ ა. თბ., 1981.

26. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურად თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისტვალისვილმა, თბ., 1981.

27. გ. ო თ ხ მ ე ზ უ რ ი. XII—XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1981.

28. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ; V. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩი-შვილმა თბ., 1983.

29. Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, 1982.

30. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 1. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1984.

31. გეორგიევსკის ტრაქტატი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ, თბ., 1983.

32. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1982.

33. თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983.

34. Источниковедческие разыскания, 1979. Тбилиси, 1984.

35. ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე. საბერეების ფრესკული წარწერები. თბ., 1985.

36. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, I. ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა, არჩილის წამება, შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელმა, თ. ხაყოშია. თბ., 1986.

37. მ ო ვ ს ე ს კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ა ც ი. ალვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბ., 1985.

38. დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა. თბ.; 1985.

39. Жязнь Царицы Цариц Тamar. Перевод и введение В. Д. Дондуа, исследование и примечания М. М. Бердзნიшвили. Тбилиси, 1985.

40. Источниковедческие разыскания, 1982. Тбилиси, 1985.

41. იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბ., 1986.

42. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი. II. ჟუან-შერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. შემდგენლები: ა. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაუომია. თბ., 1986

43. Джуаншер Джуаншериани. Жизнь вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, 1986.

44. Уложение Георгия У-го Блистательного. Подготовка грузинского текста, русский перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1988.

45. თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალისშვილმა. თბ., 1987.

46. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, VI. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუბჩიშვილმა. თბ., 1987.

47. თოვმა მეწოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციაშ. თბ., 1987.

48. ეპოთაღმწერელი. ასწლოვანი მათიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1987.

49. XIV—XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ.. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლიევიშვილმა. თბ., 1988.

50. Источниковедческие разыскания, 1985. Тбилиси, 1988.

51. ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. თბ., 1988.

52. „ქართლის ცხოვრების“ — სიმფონია-ლექსიკონი, III „მატიანე ქართლისა“, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაუომია. წარმოებაშია.

53. ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ (XVII—XVIII სს.). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით. შესავლით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადეს ა. ველკოვმა და ნ. შენგელიამ. თბ., 1989.

54. ო მ ა ნ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლ. მიქიაშვილმა. თბ., 1989.

55. ქართული წარწერების კორპუსი. ფრესკული წარწერები, I. ატენის სიონი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ, თბ., 1989.

56. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III. XIV—XV სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს კ. გრიგოლიამ, თ. ვნუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ. წარმოებაშია.

57. გ ხ ი თ ა რ ა ი რ ი ვ ა ნ ე ც ი. ქრონოგრაფიული ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბ., 1990.

58. ქართული ეპისტოლარული წყაროების კორპუსი, I. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო მ. ბერძენიშვილმა. თბ., 1989.

59. Обращение Грузии. Перевод с древнегрузинского Е. С. Таканшвили. Редакционная обработка, исследование и комментарии М. С. Чхартишвили. Тбилиси, 1989.

60. კორიდეთის საბუთები (X—XIII სს.). გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1989.

61. ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს — ძ ე ც ხ ო რ ე ბ ა დ და უწყება ბაგრატიონთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ. თბ., 1990.

62. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. შანიძემ. თბ., 1992.

63. Распорядок царского двора. Перевод В. Д. Дондуа, редактированный текст, введение, примечания, краткий комментарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1991.

64. სამი სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ. სპარსულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ., 1990.

65. რიჩარდ უილბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში. ინგლისურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. მელაძემ. თბ., 1990.

66. Парсадан Горгиджанидзе. История Грузии. Перевод Р. К. Кикнадзе и В. С. Путуридзе. Исследование и указатели Р. К. Кикнадзе. Тбилиси, 1990.

67. ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა მინაწერები. ბერძნული წარწერების კორპუსი, I. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. წარმოებაშია.

68. Межкавказские политические и торговые связи восточной Грузии. Материал подобрал и подготовил к печати В. Н. Гамрекели. Тбилиси. 1991.



## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	. . . . .	12
რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ	. . . . .	34
შენიშვნები	. . . . .	40
Резюме	. . . . .	45
საძიებელი	, . . . . .	46

## შესავალი

ქართულ ისტორიულ წყაროებში მცირე ცნობები მოიპოვება გიორგი VII-ის მეფობის ხანაზე, განსაკუთრებით კი მისი მეფობის ბოლო პერიოდზე. ეს გამოწვეულია იმ უდიდესი ნგრევითა და განადგურებით. რაც საქართველომ განიცადა ჯერ თემურლენგის ურდოების თარეშით და შემდეგ, მთელი XV საუკუნის მანძილზე, სხვა ურიცხვი მტრის შემოსევით.

XV საუკუნის საქართველო უდიდესი განსაცდელის წინაშე იდგა. იგი აღმოჩნდა ორ მტრულად განწყობილ მაჰმადიანურ სახელმწიფოს შორის. მათი განუწყვეტელი შემოსევები ანადგურებდა და მიწასთან ასწორებდა საქართველოს სამეურნეო ცხოვრებას; ინგრეოდა და იწვოდა კულტურული ნაგებობანი და წერილობითი ძეგლები.

ივ. ჯავახიშვილი, როცა საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას იხილავდა, სამართლიანად აღნიშნავდა: „რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობებში ამ საერთო კულტურული დაქვეითების წყალობით ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობაც დადუმებული იყო. ეს კი არ არის გასაკვირველი, არამედ უფრო ის გარემოება, რომ, ამ ჯოჯოხეთური პირობებისდა მიუხედავად, ქართველი ხალხი არ დაიღუპა...“<sup>1</sup>.

XV საუკუნის ქართული წერილობითი წყაროების ნაკლებობას, მართალია, არა სავსებით, მაგრამ ნაწილობრივ მაინც ავსებს სხვადასხვა მოგზაურების, დიპლომატიური მისიების, მისიონერებისა და სხვათა ცნობები. ისინი გვეხმარებიან ქართველი ხალხის ცხოვრებისა და გმირული წარსულის ზოგიერთი მომენტის აღდგენაში.

უცხოელ დამკვირვებელთა შორის არის ესპანეთის (კასტილიის) მეფის ენრიკე III (1390—1407) მიერ თემურლენგთან გაგზავნილი ელჩი რუი გონსალეს დე კლავიხო. მის დღიურებში მოცემულია რამდენიმე ცნობა საქართველოსა და მისი მეფის — გიორგი VII შესახებ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 464.

<sup>2</sup> საქართველოზე კლავიხოს ცნობების კრიტიკული შესწავლა ვცადე ამ ოციოდე წლის წინათ. იხ. ე. მამისთვალისიშვილი. რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნო-

კლავიხო (დაბადების წელი უცნობია, გარდაიცვალა 1412 წ.) კასტილიელი დიდებული იყო. მისი დღიურებიდან ჩანს, რომ ის თავისი დროისათვის კარგად განათლებული პიროვნება უნდა ყოფილიყო. 1403 წლამდე, ე. ი. კლავიხოს სამარყანდში გამგზავრებამდე, მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ გვხვდება.

1403 წ. კასტილია-ლეონის მეფემ ენრიკე III-მ თემურლენგის კარზე გაგზავნა ელჩობა, რომელსაც სათავეში ჩაუყენა რუი გონსალეს დე კლავიხო. ელჩობაში, კლავიხოს გარდა, შედიოდნენ: თეოლოგიის მაგისტრი, ბერი პაეს დე სანტა მარია გომეს დე სალაზარი, ალფონსო ფერნანდესი და მათი რამდენიმე მსახური<sup>3</sup>. ესპანელ ელჩებს თან ახლდათ თემურლენგის მიერ ენრიკესთან ადრე გაგზავნილი ელჩი. კლავიხოსა და მის თანამგზავრებს თან მიჰქონდათ თემურლენგისათვის ვადასაცემი წერილები და საჩუქრები. მათ დავალებული ჰქონდათ ავ'ეთვე აღმოსავლეთის დიდ მბრძანებელს მისალმებოდნენ ენრიკეს სახელით<sup>4</sup>.

ელჩები 1403 წლის 21 მაისს გავიდნენ კადისის ნავსადგურიდან. მათ ხმელთაშუა და შავი ზღვებით იმოგზაურეს ტრაპიზონამდე, საიდანაც გაიარეს ერზინჯანი, არზრუმში, ვალაშკერტი. იგდირი. ბაიაზეთი. ხოი, თავრიზი, მიანა, სულთანიე, თეირანი, დამლანი. ნიშაბური, მეშქედი, ანჰოი, ბალხი და 1404 წლის 8 სექტემბერს მივიდნენ თემურის სახელმწიფოს დედაქალაქ სამარყანდში, სადაც იმავე წლის 21 ნოემბრამდე დარჩნენ. სამშობლოში დაბრუნებისას კლავიხოს, მცირეოდენი განსხვავებით, იგივე მარშრუტის გავლა მოუხდა და 1406 წლის 1 მარტს იგი ენრიკეს წინაშე წარსდგა და თავისი ხანგრძლივი და ხიფათით აღსავსე მოგზაურობის ანგარიში ჩააბარა. კმაყოფილმა მეფემ კლავიხო დიდი დამსახურებისათვის დააჯილდოვა. ამის შემდეგ კლავიხო დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქ მადრიდში და იქ დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

---

ბები საქართველოს შესახებ, „მნათობი“, 1971, № 8, გვ. 118—126, საშუალება მქონდა გაცნობოდი კლავიხოს დღიურების ორ გამოცემას: Embajada a Tamorlan. Studio y edicion de un manuscrito del siglo XV por Francisco Lopez de Estrada, Madrid, 1943; Рюи Гонзалес де Клавихо Дневник путешествия ко двору Тимура в Самарканде в 1403—1406 гг. Подлинный текст с переводом и примечаниями, составленный под Редакцией И. И. Срезневского. СПб. 1881.

<sup>3</sup> Embajada a Tamorlan, p. 95.

<sup>4</sup> Historia general de Espagna, compuesta, emendada y Añdida por el padre Juan de Mariana, t. VII, en Ambres 1737, p. 88.

სახიფათო მოგზაურობიდან კეთილად დაბრუნების აღსანიშნავად კლავიხომ, საკუთარი ხარჯებით, მადრიდში, წმინდა ფრანცისკოს მონასტერში, ააგო სამლოცველო, სადაც შემდეგ თვითონ იქნა დაკრძალული. იგი გარდაიცვალა 1412 წლის 2 აპრილს<sup>5</sup>.

კლავიხო მთელი მოგზაურობის დროს (კასტილიიდან გასვლის დღე — 1403 წ. 21 მაისი, კასტილიაში დაბრუნებისა და მეფე ენრიკეს წინაშე წარდგომისა — 1406 წ. 24 მარტი) წერდა დღიურებს, რომელშიც დაწვრილებით აღწერა თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები. კლავიხო, საკუთარი თვალთ ნანახის გარდა, გადმოგვცემს სხვადასხვა პირთაგან გაგონილ ამბებსაც და იქვე მიუთითებს, რომ მას ესა თუ ის სხვისგან ჰქონდა გაგონილი. ამ მომენტს აანსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოგზაურის ცნობების შესწავლისას.

კლავიხომ დაგვიტოვა გეოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური აღწერილობა ყველა იმ ადგილისა, რომელთა ნახვა მოუხდა მოგზაურობის გრძელ გზაზე. ადრინდელ მოგზაურთა ჩანაწერებისაგან განსხვავებით, კლავიხოს აღწერილობანი მოკლებულია ყოველგვარ ფანტასტიკურობას. მის მიერ დატოვებული ცნობების უმეტესობა დასტურდება სხვა წერილობითი წყაროებით. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის ნდობას კლავიხოს დღიურებისადმი. იმავე დროს კლავიხო ანალიზს უკეთებს და შეფასებას აძლევს ზოგიერთ მაშინდელ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც იმის ნათელი დადასტურებაა, რომ იგი კარგი დიპლომატიც იყო.

მოგზაურობათა ისტორიაში კლავიხოს ძველ თაობასაც მიაკუთვნებენ და ახალი პერიოდის (XV ს.) დაწყებადაც თვლიან<sup>6</sup>.

კლავიხომ თავის დღიურებში საკმაოდ დაწვრილებითი მასალა მოგვცა XIV ს. დასასრულისა და XV ს. დასაწყისის მცირე, შუა აზიისა და კავკასიის შესახებ. მან საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა საქართველოს ისეთი მნიშვნელოვანი პერიოდისათვის, როგორც გიორგი VII მეფობის ხანა.

შემორჩენილია კლავიხოს დღიურების ორი ხელნაწერი: ერთი დატულია მადრიდის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, მეორე — ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში.

<sup>5</sup> Embajada a Tamorlan, p. XXIX; კლავიხოს შესახებ ბიოგრაფიული ცნობები იხ. აგრეთვე: Biographie universel ancienne et moderne. Nouvelle edition, t. VIII, p. 378.

<sup>6</sup> М. А. Полневков. Европейские Путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу. Тифлис. 1935, с. 96.

„დღიურები“ პირველად მისი ავტორის გარდაცვალებიდან 170 წლის შემდეგ გამოაქვეყნა ფილიპე II-ის დროინდელმა ცნობილმა ანტიკვარმა გონსალეს არგოტა დე მოლინა<sup>7</sup>. მეორედ მხოლოდ 200 წლის შემდეგ გამოიცა მადრიდში ანტონიო დე სანჩას მიერ და შევიდა კასტილიის მეფეთა ქრონიკების კოლექციის მესამე ტომში. მას დართული აქვს შაჰ აბას დიდის კარზე ნამყოფი ესპანელი ელჩის (1618 წ.) გარსია სილვა ი ფიგუერას ჩანაწერები თემურლენგის შესახებ<sup>8</sup>.

უკანასკნელად კლავიხოს დღიურები ესპანურ ენაზე გამოქვეყნდა 1943 წ.<sup>9</sup>.

„დღიურების“ თარგმანებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინგლისურის<sup>10</sup> და ზემოაღნიშნული რუსული გამოცემა. ორივეს დართული აქვს ორიგინალი. რუსული თარგმანის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ იგი, უმეტეს შემთხვევაში, შინაარსობრივია, ორიგინალის ტექსტიც ზოგჯერ ბუნდოვანია. ამიტომ ჩემს ძირითად დასაყრდენს მადრიდის 1943 წლის გამოცემა წარმოადგენდა, რომელიც აღრინდელ გამოცემებთან შედარებით სრულყოფილია.

ივისათვის, რათა ნათელი გახდეს კლავიხოს ხანვრძლივი და ხიფათით აღსავსე მოგზაურობის მიზანი, რამაც იგი და მისი თანაშემწეები სამარყანდში თემურლენგთან მიიყვანა<sup>11</sup>, მოკლედ გადავავლოთ თვალი იმ მნიშვნელოვან აქტებს, რაც XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე აზიაში ხდებოდა.

ამ პერიოდში მთელი მცირე და შუა აზია და ამიერკავკასია გახვეული იყო ტექსლის აღში. ოსმალეთის სულთანმა ბაიაზეთმა (1389—1402 წწ.) დაიპყრო რა მცირე აზიის უდიდესი ნაწილი, შემდეგ ნიკო-

<sup>7</sup> Historia del gran Tamorlan e Itinerario y enarracion del viage y relation de la Embajada pue Ruy Gonzalez de Clavijo le hizo, per mandada del rey don Henriquez de Castilla, Sevilla, 15ა?

<sup>8</sup> Noticial del gran Tamorlan Sacadas del libro V, de los comentario MSS de don Garcia Silva, que de parte del Rey España Filipe II hizo al Rey Xaabas de Persia, Año de 1618.

<sup>9</sup> Embajada a Tamorlan...

<sup>10</sup> G. H. Markham, Narrative of the Embassy of Ruy Gonzalez de Clavijo to the court of Timour, at Samarkand. „Publications of the Hakluyt Society“, London, 1859, ser. I, v. 25; G. Le Strange, Embassy to Tamerlane 1403—1406, London, 1928.

<sup>11</sup> იტალიურ ენციკლოპედიაში მითითებულია, თითქოს თემურმა კასტილიელი ელჩები ბუხარაში მიიღო. Enciclopedia italiana, t. X, Roma, 1950, p. 561.

პოლთან (1396 წ.) გაანადგურა პოლონეთის, უნგრეთისა და საფრანგეთის რაინდთა ლაშქარი, ასაღები ჩჩებოდა კონსტანტინოპოლი. ამ ამბავმა დიდი შეშფოთება გამოიწვია ევროპის ქვეყნებში.

ოსმალთა დაპყრობებს ევროპელთათვის არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. აღმოსავლეთთან ვაჭრობა კრიზისს განიცდიდა. აღმოსავლური საქონელი ევროპელთათვის სულ უფრო მოუწევდომელი ხდებოდა, რადგან მთავარ სავაჭრო გზებზე გადაულახავი დაბრკოლებები შეიქმნა. ოქროს ურდოს რღვევის შემდეგ ტანადან ჩინეთისაკენ მიმავალი დიდი სახმელეთი გზა, რომელიც XIII—XIV საუკუნეებში ვენეციელებისა და გენუელების ვაჭრობაში სერიოზული როლი ითამაშა, ახლა უკვე სხვადასხვა მომთაბარე ტომების ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ისინი ერთმანეთს შორის განუწყვეტელ ომებს აწარმოებდნენ. ამიტომ ამ გზამაც თანდათანობით დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რამაც, თავის მხრივ, ყირიმში არსებულ გენუელთა კოლონიების დაქვეითება გამოიწვია.

მართალია, შუასაუკუნეობრივი ევროპისათვის აღმოსავლეთთან ვაჭრობის მთავარ მაგისტრალად ხმელთაშუა ზღვა ითვლებოდა (რომლის გაშოყენებაზეც, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობიდან მოყოლებული, დამყარებული იყო ჩრდილო იტალიის ქალაქების კეთილდღეობა), მაგრამ იტალიელ ვაჭრებს ამ გზით სარგებლობა უხდებოდათ არაბების შუამავლობით, რომელთა ხელში იყო ინდოეთისკენ მიმავალი სამხრეთის სავაჭრო გზები. სავაჭრო გზებზე არაბების მონოპოლია ძალიან ძვირად უჯდებოდა ევროპელებს. ფასი ინდურ საქონელზე 8—10-ჯერ მატულობდა. აღმოსავლეთთან ვაჭრობის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა ოსმალების მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროების დაპყრობამ და ბალკანეთში შეჭრამ.

მდგომარეობა შავ ზღვაზე და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ამის შემდეგ სრულიად აუტანელი შეიქმნა, რადგან თურქეთის სულთნების ეკონომიკური პოლიტიკა უაღრესად არახელსაყრელი იყო სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის. სწორედ ამით იყო გამოწვეული ის დიდი შეუბოვრობა, რაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით კი ესპანეთმა და პორტუგალიამ, გამოიჩინეს სავაჭრო გზების ძიების საქმეში.

იმ დროს, როცა დასავლეთ ევროპის ვაჭრობა თითქმის გამოუვალ ჩიხში მოექცა, ასპარეზზე გამოჩნდა თემურლენგი. მის მიერ შექმნილი უზარმაზარი იმპერია ევროპელთათვის იმ საუკეთესო ძალას წარ-

მოადგენდა, რომლის დაპირისპირება შეიძლებოდა ოსმალეთისათვის<sup>12</sup>. გარდა ამისა, ევროპაში უცნობი არ იყო თემურლენგის დიდი ინტერესი სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისადმი<sup>13</sup>.

თემურლენგთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ინიციატივა გამოიჩინა კასტილიის მეფე ენრიკე III-მ, რომელიც საერთოდ დიდ ინტერესს ამჟღავნებდა სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობისადმი.

ენრიკე III-ის დროს კასტილიის სამეფო დიდ აღმავლობას განიცდიდა. მსხვილი ფეოდალების დამორჩილების შემდეგ დაიწყო აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება. მისი უშუალო ხელშეწყობით მოხდა კანარის კუნძულების დაპყრობა და კოლონიზაცია 1402 წ.

თემურლენგთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისას ენრიკეს გარკვეული მიზანი ჰქონდა. კლავიხო, როცა თავის წინამორბედი ელჩების შესახებ ლაპარაკობს, აღნიშნავს, რომ ენრიკემ ისინი გაგზავნა, რათა „გაეგო, როგორი სიძლიერისაა თემურლენგი და თურქი ილდრინი (ილდირიმი, ბაიაზეთი — ე. მ.). და როგორია სიმდიდრე და სიძლიერე ხალხებისა, რომლებიც მათ დარაზმეს ერთმანეთის წინააღმდეგ“<sup>14</sup>.

საინტერესოა, რომ ბერმა ეგნატაშვილმაც იცოდა კასტილიის ელჩების მისვლანე თემურლენგთან. მაგრამ მის თხზულებაში „ფრანგებად“ იხსენიებინან<sup>15</sup>, ავ ტრადიციის მიხედვით, რომლითაც ყველა ევროპელი „ფრანგად“ იწოდებოდა საქართველოში. როგორც ჩანს, ბერი ეგნატაშვილი იცნობდა იმ სპარსულენოვან წყაროებს, რომლებშიც აისახა კასტილიის მეფის პირველი ელჩობის მისვლა თემურლენგთან. ამ წყაროების მიხედვით, ელჩებს თემურთან მიუყვანიათ თურ-

---

<sup>12</sup> კლავიხო გადმოგვცემს, რომ გენუელები და ბიზანტიის იმპერატორი თემურს ჭართა და ფულით დახმარებას ჰპირდებოდნენ, თუკი ის ოსმალების წინააღმდეგ ომს დაიწყებდა.

<sup>13</sup> ცნობილია თემურლენგის ცდა, სავაჭრო ურთიერთობა დამყარებინა ევროპის ქვეყნებთან. მან ქ. სულთანიეს ეპისკოპოსის, იოანე პალიფანტელის ხელით გაეგზავნა წერილი საფრანგეთის მეფე შარლ VI-ს. იხ. P. Хенниг. Неведомые земли, т. III, М., 1962, с. 403.

<sup>14</sup> Embajada a Tamorlan, p. 4

<sup>15</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი. იღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 687.

ქეთის სულთნის დატყვევებული ვაჟი<sup>16</sup>. ასეთი ფაქტი ევროპულმა წყაროებმა არ იცინა.

კლავიხოს მიხედვით, მისი წინამორბედი ელჩები თემურს მცირე აზიაში შეხვდნენ, როდესაც ის ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა. კასტილიელები მოწმენი გახდნენ ანკარასთან მომხდარი ომისა, რომლის დროსაც თემურლენგის ლაშქარმა სასტიკად გაანადგურა ოსმალები და თვით სულთანი ბაიაზეთი ტყვედ ჩაიგდო. ბრძოლის შემდეგ თემურმა ღირსეულად მიიღო კასტილიის მეფის ელჩები და უკან, სამშობლოში გაბრუნებისას გააყოლა თავისი ელჩი, რომელმაც ენრიკე III-ეს თემურის წერილები და საჩუქრები გადასცა. საფიქრებელია, თემურის ელჩმა და მისმა წერილმა მეფე ენრიკეს აღმოსავლეთის უზარმაზარ იმპერიასთან ურთიერთობის კარგი პერსპექტივა გადაუშალა. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის გარემოება, რომ ენრიკე III-მ მაშინვე ახალი ელჩები გაგზავნა კლავიხოს მეთაურობით, იმ მეგობრობის განსამტკიცებლად, რასაც მას თემურლენგი სთავაზობდა<sup>17</sup>.

კლავიხო თავის დღიურებში საქართველოს და მის მეფეს პირველად იხსენიებს მაშინ, როდესაც მოგვითხრობს ქალაქ სურმალის შესახებ. მისი თქმით, ეს კარგად გამაგრებული და დიდი ქალაქი მდ. არაქსზე იყო. ამ ქალაქის მდებარეობის აღწერის შემდეგ კლავიხო მოგვითხრობს, რომ მის მოსვლამდე რვა წლით ადრე იგი დაუმორჩილებია ოქროს ურდოს ყაენს თოხთამიშს. მას ადგილობრივი მცხოვრებლებისგან შეუტყვია, რომ თოხთამიშს ბრძოლით ვერ დაუმორჩილებია ქალაქი, მაგრამ მოსახლეობას ყოველწლიური ხარკის გადახდა მაინც ალუთქვამს მისთვის. თოხთამიში დანაპირებით თითქოს კმაყოფილი დარჩენილა და დამატებით კიდევ მოუთხოვია იმ ჯარის ნაწევარი, რომელიც ქალაქს იცავდა, რათა წაეყვანა საქართველოში მეფე გიორგის წინააღმდეგ საომრად.

თოხთამიშს საქართველოში ლაშქრობა, შესაძლებელია, მართლაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ მას თუ ამის განხორციელებაში რაიმემ შეუშალა ხელი, ეს თემურლენგის სამარყანდიდან თოხთამიშის წინააღმდეგ წამოსვლა და დადევნება უნდა იყოს. როგორც ცნობილია,

<sup>16</sup> დ. კატიტაძე, საქართველო XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბ., 1975, გვ. 126—127.

<sup>17</sup> Embajada a Tamerlan, p. 4.



თოხთამიში თემურლენგთან შეჯახების შიშით უკან, ულუსში გაბრუნდა<sup>18</sup>.

ივ. ჯავახიშვილი, როდესაც თოხთამიშის მიერ ირანის აზერბაიჯანში 1385 წ. მოწყობილ ლაშქრობაზე წერს, ამტკიცებს, რომ თოხთამიში საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე კავკასიონზე ვერ გადმოვიდოდაო: „თოხთამიშს, რასაკვირველია, არ შეეძლო ჩრდილოეთისაგან ირანში შეჭრილიყო საქართველოს მთავრობასთან რომ წინ-სწარა რაიმე შეთანხმება არ ჰქონოდა. ამგვარად, საქართველო და თოხთამიში მოკავშირეები გამოდიოდნენ<sup>19</sup>, და იქვე ასკვნის კიდევ, რომ „სწორედ ეს შეადგენდა მისი (თემურლენგის, ე. მ.) შემოსევის მიზეზს და დასახულ ამოცანასაც“-ო (ე. ი. კავკასიონზე გადმოსასვლელების ჩაქეტვა).

კლავიხოს დღიურების ჩუხსულ ენაზე მთარგმნელის, ი. სრეზნეცსკის მიერ დღიურების ბოლოს დართულ განმარტებაში ნათქვამია, რომ ხსენებული ამბავი, ე. ი. თოხთამიშის მიერ სურმალის დაპყრობა, უნდა მომხდარიყო არა რვა წლის, არამედ 18 წლის წინათ, მაშასადამე, 1386 წელს<sup>20</sup>. ამ დროს, როგორც უკვე ითქვა, მოხდა თოხთამიშის შეჭრა აზერბაიჯანსა და სომხეთში.

იგივე დღიურები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ოქროს ურდოსთან კავშირს საქართველო თემურლენგის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინარჩუნებდა. როდესაც კლავიხო ყარაბახის ველზე დაბანაკებულ ომარ მირზას ლაშქარში მომხდარ არეულობაზე მოგვითხრობს, რაც ომარ მირზაზე ერთ-ერთი დიდებულის მიერ თავდასხმის ცდას გამოუწვევია, ამბობს: „...ურდოში ხმა გავრცელდა, რომ თათართა ყაენი ედიგეი და მეფე გიორგი თავს დაგვესხნენო<sup>21</sup>. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ თურქმანებში გიორგი VII ცნობილი იყო როგორც ედიგეის მოკავშირე.

ივ. ჯავახიშვილის მტკიცებას თოხთამიშის საქართველოსთან კავშირის შესახებ თუ ვირწმუნებთ, მაშინ გამოდის, რომ თოხთამიშის მიერ საქართველოს მიმართ გამოთქმული მუქარა უბრალო ფანდი იყო ქალაქის დამცველთა მოსატყუებლად.

<sup>18</sup> Б. Греков, А. Якубовский, Золотая Орда и ее падение, М.—Л., 1950, с. 333.

<sup>19</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 409.

<sup>20</sup> Рюи Гонзалес де Клавихо, с. 413.

<sup>21</sup> „...e que se feso por el ordo un Ruydo deziendo que hedegui, emperador de tartalia, e el Rey sorso venian sobre ellos...“ Embajada a Tamorlan, p 229.

ზემოხსენებული ამბავი, როგორც კლავიხო აღნიშნავს, მას ადგილობრივი მოსახლეობისგან ჰქონდა გაგონილი და ამიტომ ძნელია დადგენა. რას გულისხმობდა იგი, როცა ამბობდა — ეს ამბავი რვა წლის წინათ მოხდაო. კლავიხო სურმალში მივიდა 1404 წლის 29 მაისს. თუკი მის მიერ მოთხრობილი ამბავი რვა წლის წინათ მოხდა, როგორც ის ამბობს, მაშინ 1396 წელი უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია, მას თოხთამიშის 1394 წელს აზერბაიჯანში მეორედ მოწყობილი ლაშქრობა ჰქონდა მხედველობაში. მართალია არც ეს წელი ემთხვევა ზუსტად მის ნავარაუდევ წელს, მაგრამ შედარებით ახლოს კი არის. მას ეს მეორე ლაშქრობა უნდა ჰქონოდა ნაგულისხმევი და ამიტომ უნდა ასახელებდეს საქართველოს მეფედ გიორგი VII-ს. ის ხომ 1393 წ. გამეფდა. ამის გამო არ მიგვაჩნია სწორად კლავიხოს დღიურების რუსულ ენაზე მთარგმნელის და კომენტატორის ვარაუდი, თითქოს კლავიხო თვრამეტი წლის წინათ მომხდარ ამბავს გულისხმობდა. მაშინ ხომ კლავიხო ვერ დაასახელებდა გიორგი VII-ს.

კლავიხო თავის დღიურებში სხვა ადგილას, როდესაც იწყებს თხრობას საქართველოს მეფის მიერ ირანში მოწყობილ ლაშქრობაზე, ზედმეტად მიიჩნევს მეფის სახელის ხსენებას, რადგან იგი მკითხველისათვის უკვე ნაცნობად მიაჩნია და აღნიშნავს: „ამ დროს წამოვიდა საქართველოს მეფე, რომლის შესახებ უკვე მოისმინეთ“. როგორც შემდეგ ის ამბობს, მაჰმადიანებში დიდი შიში და დაბნეულობა განსაკუთრებით იმას გამოუწვევია, რომ ქრისტიანებს, ე. ი. ქართველებს მაჰმადიანებზე გაუმარჯვიათ. კლავიხო იქვე იძლევა იმის განმარტებას, თუ რად უწოდებენ მაჰმადიანები ქრისტიანებს ურჯულოებს — ქაფარებს და რა იგულისხმება მასში.

იმ დროისათვის, როგორც ცნობილია, არც ამიერკავკასიაში და არც მის მეზობლად ქრისტიანი მეფე, გარდა გიორგი VII-ისა, არავინ იყო. ამიტომ კლავიხოს მიერ დასახელებული ქრისტიანი მეფე სხვა არავინ უნდა იყოს, თუ არა მეფე გიორგი.

კლავიხოს და მის თანამგზავრებს სამშობლოში დაბრუნებისას გავლა მოუხდათ სამხრეთ საქართველოში. კლავიხოს გადმოცემით, ყარსის მფლობელს მათთვის გაუყოლებია მეგზური, რომელსაც მთავარი გზიდან (ყარსიდან არზრუმში მიმავალი გზა) გადაუხვევინებია და სხვა გზით წაუყვანია, რომელსაც კლავიხო „საქართველოს გზას“ უწოდებს. იმდროინდელი მთავარი საქარაუნო გზისათვის გვერდის აქცევა გამოწვეული იყო იმ დიდი არეულობით, რაც დაიწყო თემურლენგის გარდაცვალების შემდეგ მცირე აზიაში. ჩემი აზრით, საქართველოს

ტერიტორიაზე შემოსულ ელჩებს უნდა ევლოთ შემდეგი მიმართულებით: ყარსი — დემურ-კაპი — კოლა — გუნდორის გადასასვლელი — მუშეხი — კოსორი — ავქალა — თუთმაში — ახპარას გადასასვლელი — თორთოში<sup>22</sup>. თორთომიდან უნდა გადასულიყვნენ თორთომ-ისპირის მთაზე და მისულიყვნენ სპერში<sup>23</sup> (1405 წ. 13 სექტემბერი). სპეროს მფლობელმა ვინმე Pihacabea-მ კლავიხოსა და მის თანამგზავრებს გააყოლა მეგზური, რომელსაც ისინი ტრაპიზონის სამეფომდე უნდა მიეყვანა. კლავიხო აღნიშნავს, რომ საქართველოს საზღვრები დატოვეს 14 სექტემბერს.

ყარსიდან სპერამდე განვილილ გზაზე კლავიხო ასახელებს მხოლოდ ორ ადგილს. ერთია ციხე ვისერი, რომელიც ერთი მოლის მფლობელობაში იყო. გაურკვეველია ნამდვილად რა ერქვა ამ ციხეს ან სად მდებარეობდა. მეორე — თორთომი. კლავიხო თორთომში არ ყოფილა, ხოლოდ გზად მიმავალს (1405 წლის 9 სექტემბერი) დაუნახავს თორთომის ციხე, რომელიც ერთ მალლობზე მდგარა. კლავიხო აღნიშნავს, რომ: „ეს ციხე დაიმორჩილა და გადასახადი დააკისრა თემურლენგმა, და ხარკი შეაწერა. იგი საქართველოს სამეფოსია“. კლავიხოს ეს ცნობა სხვა წყაროებითაც დასტურდება.

თემურლენგის თანამედროვე ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ თურქებთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ თემურმა აიღო თორთომის ციხე. თემურის კარის ისტორიკოსი ნიზამ აღ-დინ შამი წერს: „თემურს შეატყობინეს, რომ მახლობლად იყო ციხე თორთომი, ხოლო თაყა<sup>24</sup>, ამ ადგილის მბრძანებელი, აქედან წასულიყო და თავის ნაცვლად გორ-

---

<sup>22</sup> „გურჯისტანის ვილაიეთის“ რუკა. შედგენილია XVI ხუეუნის თურქული ხელნაწერი ძეგლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ ქართული თარგმანის მიხედვით აღ. ასლანიკაშვილის მიერ. რედაქტორი ს. ჯიქია, თბ., 1953.

<sup>23</sup> თორთომ-ისპირის მთაზე გარდამავალი გზის არსებობის შესახებ მიუთითებს ვახუშტი: „და გარდავლინან გზანი (თორთომის ხეობიდან — ე. მ.) ისპირის კეობასა შინა“. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 687.

<sup>24</sup> მარნეულის რაიონის სოფ. წერაქვის XII—XIII სს. სამონასტრო კომპლექსის ერთ დიდ კვადრზე XV საუეუნეში ამოკვეთილ წარწერაში ნახსენები თაყა ფანასკერტელი, დ. ბერძენიშვილის ვარაუდით, სპარსული წყაროების თაყა უნდა იყვეს იგივე თაყა ფანასკერტელი. დ. ბერძენიშვილი, ფანასკერტელთა საგვარეულოს ისტორიიდან (წერაქვის უცნობ წარწერასთან დაკავშირებით), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1960, გვ. 95—98.

ჯიკი<sup>25</sup> დაეტოვებინა დაახლოებით 200 ქართველით. ამ ციხეში გამაგრებულნი, ისინი მუსლიმანებს ავიწროებდნენ<sup>26</sup> და მალს და ჯიზიას<sup>27</sup> არ იხდიდნენ. ლანკთემურმა თავისი სარდლების პირით დანებება შეუთვალა მეციხოვნეებს. ის უზედურნი, ციხის მიუღვალობით გამაყუბულნი, საბრძოლველად გამოვიდნენ და ბუთი დღის განმავლობაში უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ. მეექვსე ჯღეს ურწმუნოები დაპარცხდნენ და დაისაჯნენ, ხოლო ციხე საფუძვლიანად იქნა დანგრეული<sup>28</sup>. ამის შემდეგ თაყა, იმ ადგილების მბრძანებელი, მისი უდიდებულესობის ფეხზე საკოცნელად ჰოვიდა. ლანკთემურმა მას სიცოცხლე აჩუქა და მისგან წყენა დაივიწყა<sup>29</sup>.

მ. ბროსე იცნობდა ნიზამ ად-დინ შამის მიერ აღწერილ თორთომის დაპყრობის ეერსიას. მისთვის ცნობილი იყო სხვა წყაროც, რომლის მიხედვითაც, თორთომის ის დამცველები, რომლებიც ციხის დაცვის შემდეგ ცოცხალი დარჩნენ, დანაპყრობლებს ხმლების მწკრივ-

---

<sup>25</sup> მეკლევრები სხვადასხვანაირად კითხულობენ სახელს: გორჯიბეგი (კ. ტაბატაძე). ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დანაპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 159) ან გორჯიკი, (დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 152).

<sup>26</sup> როგორც ჩანს, თორთომის ციხისთავი ახორციელებდა გიორგი VII-ის პოლიტიკას — მოსვენება არ მიეცა საქართველოში და მის მეზობლად მცხოვრები მუსულმანებისათვის. ამ მუსულმანებში არ უნდა ვიგულისხმოთ საეპრო ქარაენები (იხ. კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 159). იმდროინდელი ზოგიერთი ცნობიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში და მის მეზობლად მცხოვრები მუსულმანები გიორგი მეფეს ჩვენს ქვეყანაში თემურლენგის აგრესიის დასაყრდენად შიანდა. ეგნატაშვილი ბერის თქმით, საქართველოში თურქმენთა ერთ-ერთი ლაშქრობის დროს თემურლენგთან „მოვიდნენ კაცნი სყულითა მაჰმადიანნი, რომელნი ეახლნენ საზღვარსა ქართლისასა, რამეთუ, რაჟამს მოიცილიდან ქართველნი ლანკთემურისაგან, ჩაუდგინათ თათართა, რომელნი ესახლნენ საზღვარსა ქართლისასა მაჰმადიანნი, და მოაოჯრებდნენ. მათ შემოსრიოელუს: „ქართველთაგან მრავალნი ჰქირნი გამოგუევიდან, რომელნი არიან მახლობლად ჩუენსა ქართველნი, მათგან შეგუემთხვა ჰირი დიდი და აოჯრება და აწ ამაზე მოგუეგმარენით“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 334).

<sup>27</sup> სულადობრივი გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ არამუსულმანი სრულწლოვანი, შრომისუნარიანი ქვეშევრდომი მამაკაცები.

<sup>28</sup> ნიზამ ად-დინ შამის ნათქვამს თუ გავიზიარებთ, მაშინ გამოდის, რომ თორთომის ციხე შემდგომში დამპყრობლებს აღუდგენიათ, რადგან კლავიხოს ის უნახავს მაღალ კლდეზე ამაყად მდგომი.

<sup>29</sup> Histoire des conquêtes de Tamerlan intitulée Zafarnama par Nizamuddin Sami. Avec des additions empruntées au Zubdatu—Tavarich—i Bysunguri de Hafiz—i Abri. Edition critique par Felix Tauer, t. I, Texte persan de Zafarnama, Praha, 1937, p. 246.

ში გაუტარებიათ და ისე დაუხოცავთ<sup>30</sup>. დაახლოებით ამასვე იმეორებდა ივ. ჭავჭავაძე. იგი წერდა: „1401 წელს დადებული ზავისდა მიუხედავად, თემურ ლენგმა სამხედრო მოქმედება მაინც განაახლა, რანიდან, ყარაბაღიდან წამოსული საქართველოს საზღვარს მოადგა, ხოლო შემდეგ თავისი სამხედრო ძალა თორთუმისა და იქ გამაგრებულ აჯანყებულ 200 ქართველი ლეონის დასაჭერად გაგზავნა. ისინი არც ხარკს იხდიდნენ, მაჰმადიანებსაც მოსვენებას არ აძლევდნენ. წარგზავნილმა ლაშქარმა დაეღებულნი საქმე შეასრულა: თორთუმის ციხე აღებულ იქნა და 200-ვე მეგრძოლი დახოცეს“<sup>31</sup>.

როცა ამ მხარის ბუნებას აღწერს, კლავიხო ამბობს: „მიუხედავად იმისა, რომ დაფარულია მთებით, ეს მხარე მდიდარია ხორციით“<sup>32</sup>.

ბოლოს კლავიხო იძლევა ქართველების გარეგნობის, ენისა და რელიგიის უაღრესად ლაკონიურ, მაგრამ საყურადღებო დახასიათებას: „ქართველები კარგი აგებულების და ლაშაზი სახის ხალხია. მათი რელიგია ბერძნულია, ენა კი ჯანსაყუთრებული“<sup>33</sup>. კლავიხოს მიერ ქართველების ასეთი დახასიათება, მის დიდ დაკვირვებულობაზე მიუთითებს.

კლავიხომ თავისი მოგზაურობა, როგორც ვიცით, დღიურების საბით აღწერა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს დღიურები უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია ესპანეთიდან სამარყანდისაკენ სვლის პერიოდში, ხოლო უკან, სამარყანდიდან ესპანეთში დაბრუნებისას, გადმოცემულია ის მნიშვნელოვანი ამბები, რაც იმ დროს მოხდა.

მოვსაუბრება თემურლენგის გარდაცვალების ამბავმა აზერბაიჯანში მოუსწრო. ამით გამოწვეული არეულობის გამო, მათ, თავიანთი სურვილის საწინააღმდეგოდ, ექვსი თვე და 22 დღე (1405 წლის 1 თებერვლიდან 22 აგვისტომდე) თავრიზში მოუხდათ დარჩენა. თავ-

---

<sup>30</sup> Additions et éclaircissements à l'Histoire de la Georgie depuis l'antiquité jusqu'en 1469 de V. C. par M. Brosset. St.-Peterbourg, 1851, p. 393.

<sup>31</sup> ივ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 418. სპარსული წყაროების მიხედვით, თემურის ლაშქარს თორთუმის ციხე აუღია 1401 წლის დეკემბერში. იხ. დ. კატიტაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

<sup>32</sup> ვახუშტი წერს: „თორთუმის მდინარის კიდე, ხახულს ზეითამდე ანუ ციხემდე, ვენახოვანი, ხილიანი, ხოლო მთის კერძონი ყოველგნით... არს მოსავლიანი, პირტყვიანი“. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 140.

<sup>33</sup> „E los Grieganos son omes de buenos cuerpos e de fermosos gestos; e la su creençia es ala griyesca, e la su lengua es apartada“. Embajada a Tamorlan, p. 244.

რიზში მეორედ ყოფნის დროს კლავიხომ დღიურებში მხოლოდ ის მნიშვნელოვანი ამბები შეიტანა, რაც იმ დროს მოხდა.

თავრიზულ ჩანაწერებში არის ერთი ფრიად საყურადღებო ცნობა საქართველოს მეფის გიორგი VII-ის შესახებ, რომელიც ნათელს ჰფენს ამ დაუღალავი და შეუპოვარი პიროვნების მოღვაწეობის ერთ ეპიზოდს.

კლავიხო მოგვითხრობს, რომ საქართველოს მეფე შეიჭრა ყარსისა და არზრუმის მიწებზე და თავრიზამდე გადასვლა და გადაწვა მრავალი ქალაქი და სოფელი, რითაც დიდი შიში გამოიწვია მუსლიმანებს შორის. თავრიზელები ფიქრობდნენ, რომ ირანის მაშინდელი გამგებელი ომარ მირზა დაეხმარებოდათ, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. ომარ მირზამ მხოლოდ თავისი ერთი სარდალი ომარ თობანი გაგზავნა ხუთი ათასი მხედრით და ქართველთა წინსვლის შეჩერება უბრძანა. მის მხედრობას უნდა შეერთებოდა აგრეთვე თავრიზისა და სხვა მხარეების რაზმები. ამგვარად, ომარ თობანის განკარგულებაში აღმოჩნდა სულ 15 ათასი მხედარი, რომელიც დაბანაკდა ალათალის ველზე.

გიორგი მეფემ, როგორც მოვლენების შემდგომი განვითარებიდან ჩანს, უაღრესად გაბედული საბრძოლო გეგმა შეიმუშავა. თავისი მცირე რაზმით (სულ 5 ათასი მხედარი) ფრთხილად და საიდუმლოდ მივიდა ალათალის ველზე და ღამით მოულოდნელად თავს დაესხა სამჯერ მეტ მტრის ჯარს. ომარ თობანმა სასტიკი მარცხი განიცადა. მისი მხედრობის დიდი ნაწილი ამოწყდა, გადარჩენილებმა თავრიზს შეაფარეს თავი.

რადგან კლავიხო თავის მოგზაურობას დღიურების სახით აღწერს; ამიტომ მასში მოცემული ყველა ამბის ზუსტად თუ არა, მიახლოებითი დათარიღება მაინც შეიძლება. სწორედ ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ მოთხრობილი ამბავი 1405 წლის 19 მაისიდან 11 ივლისამდე განვიღო დროში მოხდა<sup>34</sup>.

კლავიხოს მიერ აღწერილი მეფე გიორგის თავრიზამდე ლაშქრობის შესახებ სხვა, ჩვენთვის ცნობილი ყველა წყარო დუმს. კლავიხოს მონათხრობს თითქოს ეხმაურება XV საუკუნის სპარსულენოვანი ისტორიკოსი მირზონდი (1433—1498 წწ.) რომელიც გვამცნობს: „მო-

---

<sup>34</sup> 19 მაისს ომარ მირზამ წერილი გაუგზავნა კასტილიის მეფის ელჩებს, რომლითაც ერთგვარ ბოდიშს იხდიდა მისივე ბრძანებით თავრიზის ხელისუფალთა მიერ მათი ქონების ჩამორთმევის გამო. 11 ივლისს ომარ მირზამ თავისი ძმის, აბუ-ბექრის ციხიდან გაქცევის ამბავი გაიგო.

ვიდა ცნობა, რომ ქართველებმა სიმამაცის ფეხი საზღვარს გადმო-  
აბიჯეს, თავს დაესხნენ განჯასა და ნახჭევანს და ხალხის ქონება და-  
სისხლი ხელყვეს. ბასთან ჯაგირმა, არღებლის გაძოჩენილმა მბრძა-  
ნებელმა და მოხელეებმა, აჯანყების გამო სსსწრაფოდ შეაფარეს თავი  
შირვანს შეიხ იბრაჰიმ ვალისთან. ომარ მირზამ ბრძანა, რომ ომარ-  
თობანი, ბარსალ თურქალი და სხვა მხედართმთავრები მალეშულან-  
გურჯად წოდებული ადგილის დასაცავად წასულიყვნენ<sup>35</sup>.. ქართველ-  
ბის ლაშქარმა ომარ თობანი და მისი ამირები დაამარცხა და მარან-  
დამდე შეუტია“<sup>36</sup>.

არსებობს მოსაზრება, რომ მირზონდის მიერ აღწერილი ამბავი  
1405 წლის ზაფხულში მოხდა. ამგვარად, კლავიხოს და მირზონდის  
ცნობები თითქოს დროის მიხედვითაც ემთხვევიან ერთმანეთს (კლავი-  
ხოსთან 1405 წლის 19 მაისიდან 11 ივლისამდე, მირზონდთან 1405  
წლის ზაფხული). მაგრამ მირზონდის ცნობის უფრო დაზუსტება შეი-  
ძლება. კლავიხოსა და მირზონდის მონათრობს თუ ჩაუვკვირდებით,  
ნათელი გახდება. რომ ლაპარაკია ორ სხვადასხვა ლაშქრობაზე, რომ-  
ლებიც გიორგი VII-მ თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ მოა-  
წყო. ამის საფუძველს, პირველ რიგში. ევადლევს ზემოხსენებული ავ-  
ტორების მიერ აღწერილი ლაშქრობების სხვადასხვა მიმართულება.  
ხოლო რაც შეეხება ომარ თობანს, რომელსაც ორივე ავტორი თურ-  
ქმენტა ჯარის მთავარსარდლად ასახელებს, მის შესახებ შეიძლება  
ითქვას შემდეგი: ომარ თობანი იყო თემურლენგის მომხრეთა იმ  
მცირერიცხოვან ჯგუფში, რომელმაც ხელი შეუწყო მის აღზევებას.  
იგი თემურს ემსახურებოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში და მისი  
თანამებრძოლიც იყო. ის უშუალოდ მონაწილეობდა თემურის სხვა-  
დასხვა ლაშქრობაში, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ კი მისი  
შთამომავლების სამსახურში დარჩა. ამიტომ გასაკვირი არაა გიორგი  
მეფის წინააღმდეგ გაგზავნილი ლაშქრის მეთაურად თუნდაც ორჯერ,  
ომარ თობანი ყოფილიყო. არც ის არის გასაკვირი და სრულიად  
დასაშვებიცაა, რომ ორივე წყაროში მის დამარცხებაზეა ლაპარაკი.  
ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ, თითქოს უმნიშვნელო გარე-  
მოებასაც. კლავიხო მხოლოდ ომარ თობანს ასახელებს ჯარის სარდ-  
ლად, მირზონდი კი ამბობს: ომარ მირზამ „ომარ თობანი, ბარლას

35 მ ი რ ზ ო ნ დ ი, თარიღე როუბათ ას-საფა. VI, თიერანი, 1923, გვ. 511; რ. კ ი-  
ქ ნ ა ძ ე, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ის-  
ტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 108, თბ., 1964, გვ. 378—379.

36 მ ი რ ზ ო ნ დ ი, გვ. 513.

თუქალი და სხვა ნხედართმთავრები“ გაგზავნაო. დასახელებულ სარდლებს, რომ კლავიხოს მიერ აღწერილ ლაშქრობაში ერთად მიეღოთ მონაწილეობა, მაშინ ისიც ორივეს დაასახელებდა, რადგან იგი მირხონდზე ნაკლებად კი არა, შეიძლება უკეთაც იცნობდა მაშინდელ პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობას. ამის თქმის უფლებას გვაძლევს თუნდაც ის გარემოება, რომ კლავიხო უშუალოდ დამკვირვებელი იყო, ხოლო მირხონდი თავის წინამორბედთა ცნობებს ემყარებოდა.

ზემოხსენებულ ორ ცნობაში თუ ორი სხვადასხვა დროს მოწყობილი ლაშქრობა შეიძლება ვივლით, მაშინ პირველ მომხდარ ფაქტად კლავიხოს მონათხრობი უნდა ჩაითვალოს. ამგვარი მტკიცების უძთაერეს არგუმენტად უნდა მიერჩნით ის გარემოება, რომ კლავიხო არსად არ ახსენებს აჰმად ჯალაერსა და ყარა-იუსუფს, ისინი ერთად მოქმედებდნენ. კლავიხო, რომელიც კარგად ერკვევა იმ დროისათვის ირანში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მიმდინარე პოლიტიკურ ამბებში, არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამორჩენოდა აჰმად ჯალაერისა და ყარა-იუსუფის მოქმედება. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კლავიხოს თავრიზში ყოფნისას ისინი ასპარეზზე ჯერ არ ჩანდნენ.

ცნობა. ქართველების მიერ მოწყობილი ლაშქრობის შესახებ კლავიხოს ჩართული აქვს იმ ამბებში, სადაც მოვივითხრობს, თანაც საკუთარ დეტალურად, ომარ მირზას ბრძოლასა და ინტრიგებზე მამისა და ძმის წინააღმდეგ. ამასვე ადასტურებს იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსი თოვმა მეწოფეცი, რომელიც ამბობს, რომ ყარა-იუსუფი 1395 წლიდან 1406 წლამდე სომხეთსა და აზერბაიჯანში არ გამოჩენილა<sup>37</sup>.

ამ საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება მირხონდის ცნობაც, სადაც ქართველთა ლაშქრობის აზბავი და აჰმად ჯალაერის ეგვიპტიდან წამოსვლა და მის მიერ ბაღდადის აღება გადმოცემულია ერთდროულად. იგი ამბობს: „ცნობა მოვიდა, რომ სულთანი აჰმედი მისრეთიდან დაბრუნდა და ბაღდადი დაიპყრო... ომარ მირზამ ბრძანა, რომ ომარ თობანი, ბარლას თუქალი და სხვა მხედართმთავრები მალზულანგურჯად წოდებული ადგილის დასაცავად წასულიყვნენ. ამირ სუნჯაკი კი ური-

<sup>37</sup> თოვმა მეწოფეცი, ისტორია თემურლენგისა და მისი შთამომავლებისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ, თბ., 1987, გვ. 39. ჩვენთვის საინტერესო ეს ცნობა რატომღაც გამოტოვებულია ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ თარგმნილ თოვმა მეწოფეცის თხზულებაში.



ცხვი ჯარის ერთი ნაწილით ბაღდადში გაგზავნა, რათა ის ვილაიეთი სულთნისათვის წაერთმია<sup>38</sup>.

ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ მირზონდის მიერ აღწერილი ამბავი — ქართველების ლაშქრობა და ყარა-იუსუფის და აჰმედ ჯალაერის მიერ ბაღდადის აღება მოხდა 1406 წლის ივლისში. კლავიზო კი იმ დროისათვის უკვე ესპანეთში იყო (1406 წლის მარტში მივიდა კასტილიაში). რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო თავის დღიურებში შეეტანა ისეთი რამ, რაც ირანში მოხდა მისი ესპანეთში დაბრუნების შემდეგ.

ჩემი აზრით, ახლა უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კლავიზო და მირზონდი მეფე გიორგი VII-ის მიერ თურქმანების წინააღმდეგ ორ, სხვადასხვა დროს ზოწყობილ ლაშქრობაზე ლაპარაკობენ.

რადგან კლავიზოს მიერ გადმოცემული ამბავი სხვა წყაროებით არ დასტურდება, ამიტომ ი. სრენნესკიმ გიორგი ნეფის მეთაურობით ლაშქრობის მოწყობა იმ დროს საეჭვოდ მიიჩნია. ამის გამო იყ. ა. რომ წერდა: „Не приписал ли он (Клавихо - у. м.) Георгию то, что сделано было туркменами Кара Юсуфом.“<sup>39</sup>

როკორც შემდეგ ვნახავთ, ი. სრენნესკის მიერ გამოთქმული ეჭვი, ცოტა არ იყოს ნაჩქარევია. რას ემყარებოდა იგი, როცა ამბობდა, ასეთი ლაშქრობა ყარა-იუსუფმა მოაწყო?

ყარა-იუსუფი ცნობილია, როგორც თემურლენგის ერთ-ერთი შეუპოვარი მოწინააღმდეგე. ის იყო შავბატკნიანთა (ყარა-ყოიუნლუ) გაერთიანებული ტომების ამირა, წარმოშობით ზაჰარლუს ტომიდან. მან, თემურისაგან აჰმედ ჯალაერთან ერთად დევნილმა, ჯერ ოსმალეთის სულთან ბაიაზეთ პირველს შეაფარა თავი<sup>40</sup>, ხოლო თემურის მიერ ბაიაზეთის დამარცხების შემდეგ ეგვიპტეში გაიქცა. თემურის მოთხოვნით ეგვიპტის სულთანმა ფარაჯმა შეიპყრო იგი და რამდენიმე ხანს ტყვეობაში ჰყავდა. ფარაჯი აპირებდა კიდევ ყარა-იუსუფი თემურისათვის გადაეცა, მაგრამ თემურის სიკვდილმა იხსნა. სულთანმა გაანთავისუფლა ყარა-იუსუფი და თავისუფალი მოქმედების საშუა-

<sup>38</sup> მ ი რ ზ ო ნ დ ი. გვ. 511.

<sup>39</sup> Рюи Гонзалес де Клавихо, с. 411.

<sup>40</sup> საყურადღებოა, რომ ფარსადან გორგიჯანიძე თავის „ისტორიაში“, თემურსა და ბაიაზეთს შორის ომის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად ბაიაზეთის მიერ აჰმედის შეფასებას და მისი თემურისათვის გადაუცემლობას ასახელებს, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, წ. II, 1925, გვ. 314.

ლება მისცა. მან შეაგროვა ათასი მხედარი და აზერბაიჯანისკენ წავიდა<sup>41</sup>.

თემურლენგი გარდაიცვალა 1405 წლის 18 თებერვალს ქ. ოთარააში, ხოლო ზემოაღნიშნული ქართველთა ლაშქრობა უნდა მომხდარიყო 1405 წლის 19 მაისსა და 11 ივლისს შორის. ამ დროისათვის კი ყარა-იუსუფი ვერ შეძლებდა მისვლას კლავიზოს მიერ დასახელებულ ადგილამდე, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ცნობა თემურლენგის სიკვდილის შესახებ შუა აზიიდან ეგვიპტემდე დაიგვიანებდა და, მეორეც, ყარა-იუსუფისათვის საჭირო იქნებოდა გარკვეული დრო ჯარის შესაკრებად. მაშინ ყოველივე ამის გაკეთება დროის ასეთ მცირე მონაკვეთში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

სირიიდან წამოსულმა „აჰმედმა და ყარა-იუსუფმა 1406 წლის ივნისში აიღეს ბაღდადი და ამის შემდეგ ჯაუყოვნებლივ დაიძრნენ სამხრეთ აზერბაიჯანისაკენ. 1406 წლის ივლისის დასასრულს ორივე მოკავშირე თავრიზს მიუახლოვდა“<sup>42</sup>.

ცნობილია, თუ რა შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა მეფე გიორგი და ქართველი ხალხი დამპყრობთა უღლის წინააღმდეგ ჯერ კიდევ თემურლენგის სიცოცხლეში.

1403 წელს მეფე გიორგისა და თემურლენგს შორის დადებული ზავის მიხედვით საქართველო ვასალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა თემურისადმი. თემურმა, საქართველოში მოწყობილი რამდენიმე ლაშქრობის მიუხედავად, ვერ შეძლო ვერც ქართული ხალხისა და ვერც მისი მეფის დამორჩილება. ზავის დადების შემდეგ თემურლენგს აღარ ულაშქრია საქართველოში, რაც გიორგი VII-ს აუცილებლად მისცემდა საშუალებას ქვეყანა შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების კალაპოტში ჩაეყენებინა. იგი მოიკრებდა ძალებს და ახლოს იქნებოდა დაკავშირებული იმ მოვლენებთან, რაც მაშინ ხდებოდა ამიერკავკასიაში და მცირე აზიაში. თემურლენგი, საქართველოს უკანასკნელი აოხრების შემდეგ, ჩინეთის დასაპყრობად გაემგზავრა. გიორგი VII-მ გამოიყენა ეს ხელსაყრელი მომენტი და მაშინვე საქართველოს ერთიანობის აღდგენასა და მტრისაგან მის გაწმენდას შეუდგა. ვახუშტი ბატონიშვილი ასე აგვიწერს გიორგი მეფის მიერ თემურლენგის უკანასკნელი ლაშქრობის შემდეგ გატარებულ ღონისძიე-

<sup>41</sup> Enzyklopaedje des Islam, B., II, Leiden-Lcipzig, 1927. S. 793.

<sup>42</sup> И. П. Петрушевский. Государство Азербайджана в XV в. Сборник статей по истории Азербайджана, вып. I, Баку, 1949, с. 157.

ბებს: „ხოლო შემდგომად წასვლისა თემურისა, დაიპყრა მეფემან გიორგი ქართლი, სომხითი, ჰერ-კახნი და იწყო შენებად მოოჯრებულთა და ბრძოდა ციხოვანთა“<sup>43</sup>.

თემურლენგის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მის უზარმაზარ იმპერიაში დაწყებულ განმათავისუფლებელ მოძრაობას მემკვიდრეებს შორის პირველობისათვის ბრძოლა დამატა, გიორგი VII-ს უფრო მეტი საშუალება ეძლეოდა საქართველოს ციხეებში ჩაყენებული შტრის ჯარების განდევნისა და აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებისა. „რამეთუ შემდგომად თემურის სიკვდილისა იწყეს ბრძოლანი ძეთა მისთა ურთიერთთა ზედა და დაშთა ქუეყანა და მეფე მათგან მშუდობით. ხოლო მეფემან განასხნა თათარნი და აღიხუნა ციხენი ქართლ-სომხითისანი სრულიად“<sup>44</sup>.

ამასვე აღნიშნავს ნ. დადიანი თავის „ქართველთ ცხოვრებაში“: „ხოლო მეფემან გიორგი კვალად დაიპყრა ყოველი საქართველო... ხოლო იწყო მეფემან გიორგი მოსკრა, მოწყვედა თათართა: სადა ჰპოებდა საზღვარს გარეთ თვისით, ვიდრე რახსის კიდემდე, არა დაუტევა, მოსრნა, მოსწყვიდნა“<sup>45</sup>. ნ. დადიანის თხზულებიდან ამოღებული ციტატა ადასტურებს მირზონდის ცნობებს, რომელშიც ქართველების მიერ სომხეთის ქალაქების აღებაზეა ლაპარაკი.

აღბათ, გიორგი VII-ის ასეთი მოქმედება ჰქონდა მხედველობაში ი. პ. პეტრუშევსკის, როდესაც აღნიშნავდა, რომ აზერბაიჯანში დაწყებულ სახალხო მოძრაობასთან ერთად საქართველოში აჯანყება დაიწყო<sup>46</sup>.

საქართველოდან დამპყრობთა ნაშთების განდევნა-განადგურებისა და ქვეყნად მშვიდობის დამყარების შემდეგ, გიორგი VII-ს კარგად გაუთვალისწინებია აზერბაიჯანში დაწყებული სახალხო მოძრაობის დადებითი მნიშვნელობა თავისი ქვეყნისათვის. იგი მაშინვე დაუკავშირდა განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურს შირვანშაჰ იბრაჰიმს<sup>47</sup>, რაც 1405 წლის დასაწყისში მოხდა. გიორგი მეფეს იბრაჰიმთან

<sup>43</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 275.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 275—276.

<sup>45</sup> ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962, გვ. 121.

<sup>46</sup> И. П. Петрушевский. Указ. соч., с. 154; А. А. Али-заде. Социально-экономическая история Азербайджана XIII—XIV вв., Баку, 1965, с. 394.

<sup>47</sup> იქვე.

ურთიერთობა იმითაც განუმტკიცებია, რომ სულ ცოტა ხნის წინათ დაპყრობილი განჯა და ნახჭევანი მისთვის გადაუცია<sup>48</sup>.

ახლა კი მოკლედ ვთქვათ კლავინოს მიერ გადმოცემულ ქართველთა ლაშქრობაზე.

ამბების მაშინდელ (1405 წლის ზაფხული) განვითარებას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ გიორგი მეფეს სწორად შეუფასებია ის სიტუაცია, რაც ომარ მირზას მორჩილებაში მყოფ ტერიტორიაზე შეიქმნა. 1405 წლის გაზაფხულზე ომარ მირზა თავისი ჯარით ყარაბაღში იდგა. აქ გაიგო მან თავისი პაპის, თემურლენგის გარდაცვალება. ამის გამო დაწყებული არეულობით უნდოდა ესარგებლა შაჰ და მთელი ძალაუფლება ეგდო ხელთ. მან დაუწყო დევნა თავის მამას, შირანს შაჰს და უფროს ძმას აბუბექრს. ძმა ხელში ჩაიგდო და სულთანის საპყრობილეში ჩასვა, მამამ კი შეძლო ხელიდან გასწლტომოდა<sup>49</sup>. შირან შაჰის თავისუფლად ყოფნა ძლიერ არყევდა ომარის მდგომარეობას. ამით იყო გამოწვეული ის, რომ იგი პირადად არ იმყოფებოდა ქართველთა წინააღმდეგ გაგზავნილ ლაშქარში. ან, შეიძლება ისიც ვფიქრობთ, რომ იგი ქართველთა ასეთ მოქმედებას შედარებით ნაკლებმნიშვნელოვნად თვლიდა, ვიდრე საკუთარი მამის ხელში ჩაგდებას.

შექმნილი ვითარება გიორგი VII-ს საშუალებას აძლევდა მცირე ჯარით შეჭრილიყო მისგან განდგომილი ივანე ათაბაგის სამფლობელოში, დაემორჩილებინა იგი და წამოწყებული ლაშქრობა გაეგრძელებინა მეზობელ ტერიტორიაზე, მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის საქართველოს არც სამხრეთით მოსაზღვრე ტერიტორიებზე და არც თავრიზის მიდამოებში თურქმანებს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა არ ჰყავდათ. ჩემი აზრით, კლავინოს მიერ აღწერილი ქართველთა ლაშქრობის ძირითადი მიზანი სწორედ საათაბაგოს კვლავ შემომტკიცება უნდა ყოფილიყო.

ივანე ათაბაგი, მესხეთის მფლობელი, მეფე გიორგის განუდგა და კონსტანტინე ბატონიშვილთან ერთად თემურლენგს მიემხრო 1402 წ. ფარსადან გორგიჯანიძე გვაწვდის სპარსული წყაროების მონაცემებს ამ უაღრესად საინტერესო საკითხზე. იგი წერს: „მოსვლა თემურისა სამცხეს და წინ მიგებება ივანე ათაბაგისა და მეფის გიორ-

<sup>48</sup> რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 379.

<sup>49</sup> Emhajada a Tamorian, p. 232—235.

გის ძმა კონსტანტილესი, ძღვენის მორთმევა და შემოხვეწა, ასე რომ ჩვენ ჯელმწიფის მორჩილნი ვართ და რასაც გვიბრძანებენ, იმისი მქნელი ვიქნებით. თუ ბეგარასა გვთხოვთ მოგართმევთ და საცა გვიბრძანებთ, შეძლების ღონით გილაშქრებთ, ჯელმწიფემ (თემურლენგი— ე. მ.) მათი თქმული მოიწონა, მაგრა მაჰმადის რჯულზედ მოსვლა დაჰპატიჟა და ივანემ ათაბაგმა დაჰპატიჟა და თავის საჯლში ჯელმწიფეს დაუჩოქა და ასრე მოახსენა: ჩვენი ქვეყანანი სრულ ქრისტიანი არიანო და თუ მე რჯული დაჯადლო, ამათში ველარ დავდებო. ამის სიტყვაზედ ჯელმწიფემ მერჯულენი მოიხმო და ივანე ათაბაგის თქმული სიტყვანი იმათ მოახსენა. მერჯულეთ ჯელმწიფეს ასრე მოახსენეს: მაჰმადის შოციქულობას და მლთისაჯან ანგელოზის მოსვლას არ სჯერანო და ყურანს, მაგრამ თუ ჯიზიასა და ხარაჯას მუსურმანს მისცემენო და თავმზიდვრობას არ იქმონენო, თავიანთ რჯულზედ ყოფნა არ დაეშლებისო. ჯელმწიფემ მერჯულეთ თქმული დაიჯერა და ივანე ათაბაგსა და მეფის გიორგის ძმას კონსტანტინეს ხალათი, გვირგვინი და ჯმლები უბოძა<sup>50</sup>.

ივანე ათაბაგი და უფლისწული კონსტანტინე თემურლენგის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ უკანასკნელ ლაშქრობაში მტრის მხარეს იყვნენ. სამხრეთი საზღვრის და იქიდან საქართველოს გულისაკენ მომავალი გზის დაცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გიორგი მეფის შემდგომი მოქმედებისათვის. საყურადღებოა, რომ ამჟვე გზით თემურლენგი 1402 წელს შენოვიდა საქართველოში. მან გაიარა შაქორი, ალა-თალი და მენი-კულაში<sup>51</sup> დაბანაკდა. გიორგი VII-მაც, როგორც ჩანს, ამ გზით გაიარა, მორჩილებაში მოიყვანა განდგომილი ივანე ათაბაგი. თემურის მიერ საქართველოს უკანასკნელად დალაშქვრის შემდეგ „და მოვიდა კულად მეფე გიორგი და დაიპყრა სამკვდრო თვისი ქართლი და იყო უშიშრად“<sup>52</sup>. ხოლო თემურის სიკვდილისთანავე, მან სამხედრო მოქმედება გადაიტანა საქართველოს საზღვრებს გარეთ. გიორგის ასეთ მოქმედებაზე რას გვამცნობს კლავინო, ამას უკვე გავეცანით. გიორგი მეფის შემდგომი მოქმედების შედეგად

50 ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 309—310; დ. კაციტაძე, სხვადასხვა წყაროების შეჯერებით, მივიდა დასკვნამდე, რომ ივანე ათაბაგი და კონსტანტინე თემურლენგს ეახლნენ ბირთვისის ციხის აღების წინ 1403 წელს. დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 123, 124.

51 ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით ეს უნდა იყოს კოლის მინდორი. იხ. მისი ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 297—298.

52 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 338.

შეგვიძლია ჩავთვალოთ განჯისა და ნახჭევანის აღება, რომელზედაც მოგვითხრობს მირხონდი.

კლავიხო საინტერესო ცნობას იძლევა ისპირის, იმდროინდელი საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის შესახებ. როგორც კლავიხოს ნათქვამიდან ჩანს, სპერი და მისი მიდამოები XV ს. დასაწყისისათვის უკვე ოსმალეთს (კლავიხო ტერმინს „morio“ ოსმალების აღსანიშნავად ხმარობს, ხოლო „chachiatay“ თურქმანებს აღნიშნავს) ჰქონდა დაპყრობილი. ყველაზე საყურადღებო კი ის არის, რომ სპერი და მისი მიდამოები, მიუხედავად იქ ოსმალების ბატონობისა, იმ დროისათვის ძირითადად ქართველებით იყო დასახლებული. ამის თქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ კლავიხო სპერში (ასევე საქართველოს სხვა ტერიტორიაზე, რომელზეც მას მოუხდა გავლა), მიუხედავად იმისა, რომ იგი ქართველებს არ ასახელებს, არც სხვა რომელიმე ხალხის შესახებ გვამცნობს რაიმეს. ალბათ, მან საკმარისად ჩათვალა ერთხელ უკვე ნათქვამი, რომ საქართველოს საზღვრებში შევედითო და ზედმეტად მიიჩნია ეთქვა აქ ქართველები ცხოვრობენო.

ივ. ჯავახიშვილს მოცემული აქვს ცნობები XX ს. 10-იან წლებში ამჟერად ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე ქართველთა განსახლების შესახებ. იგი წერდა: „ოსმალეთის საზღვრებში დარჩენილ მესხეთის ზემო ტაოს ნაწილში, თორთუმის ხეობაში მთელი მცხოვრებნი 1400 სული მთლად გამაჰმადიანებული ქართველები არიან, მაგრამ ქართული დავიწყებული აქვთ. ისპირში — კი, პარხალი, ხევეკის, გუდახევისა და კირკიმის ხეობებში ყველგან ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ და ქართულად ლაპარაკობენ“ (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილულია, ტფ., 1919, გვ. 46). სხვათა შორის, უნდა გავიხსენოთ, რომ კლავიხო ყველგან აღნიშნავდა, თუ სადმე შეხვდებოდა ძირითადი მოსახლეობისაგან განსხვავებულ სხვა რომელიმე ხალხის წარმომადგენლებს. სპერიდან გასვლის შემდეგ კი იგი ერთგვარად აჯამებს ქართველებზე დაკვირვების შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას და იძლევა, მართალია, უაღრესად ლაკონიურ, მაგრამ საყურადღებო დახასიათებას მათი გარეგნობის, სარწმუნოებისა და ენისა. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ მას საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველებთან. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი თემურლენგის უზარმაზარ იმპერიაში მოგზაურობის დროს სხვაგანაც შეხვდა ქართველებს.

1405 წლის 14 სექტემბერს სპერიდან გასულმა ელჩებმა დიდი გაჭირვებით გადალახეს მაღალი მთა და კლავიხო აქვე გვამცნობს, რომ ისინი საქართველოს საზღვრებიდან გავიდნენ და შევიდნენ არაქიელის ქვეყანაში, სადაც სომხები ცხოვრობდნენ.

ასეთია კლავიხოს ის რამდენიმე ცნობა, რომლებიც მან თავის დღიურებში გააბნია სხვადასხვა ადგილას. ამ მცირე, მაგრამ საინტერესო ცნობებმა შეიძლება გარკვეული შუქი მოჰფინონ საქართველოს ისტორიის ზოგიერთ მომენტს XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე.

## რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ

მეორე დღეს, ხუთშაბათს, ოცდაცხრა ზაისს<sup>1</sup>, დაახლოებით შუადღისას, [ელჩები] მიადგნენ დიდ ქალაქს, რომელსაც ჰქვია სურმალი (sulmarun)<sup>2</sup>. აქედან ექვსი ლიგის<sup>3</sup> დაშორებით ჩანდა მაღალი მთა, რომელზეც გაჩერდა ნოეს კიდობანი წარღვნის დროს<sup>4</sup>. ეს ქალაქი მდებარეობდა სწორ ადგილას. ერთი მხრიდან ჩაედინებოდა ის დიდი მდინარე, რომელსაც ჰქვია არაქსი (corras). მეორე მხრიდან იყო ბალესტი<sup>5</sup> ერთი გასროლის სიგანე, კლდეებს შორის ჩაღრმავებული ხევი. ეს ხევი გარშემორტყმული ჰქონდა ქალაქს და მიდიოდა მდინარემდე. ხევი და მდინარე უაღრესად ამაგრებდნენ ქალაქს. ამიტომ მასზე თავდასხმა შეიძლებოდა მხოლოდ იმ ადგილიდან, სადაც მდინარის დასაწყისში იყო ხევში შესასვლელი, მაგრამ ამ შესასვლელზე იდგა დიდი, მაღალი კოშკებით გაჩაგრებული ციხე, ორი ერთმანეთზე მიყოლებული კიშკრით. ქალაქი სურმალი პირველი ქალაქია, რომელიც ნოეს შთამომავლებმა ააშენეს წარღვნის შემდეგ და ამბობენ, რომ თოხთაქიშმა (lomaix)<sup>6</sup>, თათართა იმპერატორმა, რვა წლის წინათ შემოარტყა მას ალყა და ორი დღე და ღამე ებრძოდა. მესამე დღეს მასთან მივიდნენ [მოქალაქენი] შესათანხმებლად. ქალაქი იმ პირობით დაემორჩილებოდა მას, თუ არც ის და არც მისი ჯარი არ შევიდოდა ქალაქში, სამაგიეროდ ყოველწლიურად ვარკვეულ გადასახადს გადაუხდიდნენ. ხსენებული იმპერატორი დათანხმდა, მაგრამ მოითხოვა, რომ წისთვის მიეცათ ქალაქის გარნიზონის ნაწილი, რომელიც მასთან ერთად წავიდოდა საქართველოს (jurgania) მეფე გიორგის<sup>7</sup> (Rey sorso) წინააღმდეგ საომრად. როცა ქალაქის მოსახლეობამ მისცა მას ხსენებული ჯარი, მან ბრძანა ქალაქის აღება. ჯარი შევიდა და, რაც ნახა, ყველაფერი გაძარცვა. ქალაქის დიდი ნაწილი დაანგრია და მრავალი ადამიანი ამოწყვიტა. ამ ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა სომხებია. როგორ დაკარგეს ქრისტიანებმა თავიანთი ხელისუფლება სომხურ მიწაზე და როგორ დაეუფლნენ მას მუსლიმანები



(moros), ამის შესახებ მოთხრობილი იქნება შემდეგში. ამ ქალაქში იყო მრავალი დიდი შენობა. მთელს ამ მხარეში ელჩებსა და მათს ხალხს აძლევდნენ ბინას, საკვებს და ცხენებს მგზავრობისათვის. მთელი ეს მხარე თემურლენგს (lamurbeque) ემხრობოდა...

... ეს ჯანსა მირზა (janča miraza), რომლის თავის მოკვეთა ბრძანა ომარ მირზამ (homar miraza)<sup>7</sup>, იყო თემურლენგის დის შვილი და ყველაზე მამაც, ყველაზე ძლიერ ადამიანად ითვლებოდა თემურლენგის მთელ გვარში მას დიდად პატივცემულს და მრავალი მიწების ბატონს (señor), ჰყავდა დიდი ჯარი, რომელიც მუდამ თან ახლდა, სადაც კი წავიდოდა. როცა თემურლენგმა თავისი შვილიშვილი ომარ მირზა იმპერატორად გამოაცხადა, მან ჯანსას დაავალა, რომ [ომართან ეცხოვრა და მისი სასახლე და სამფლობელო გაეწეო. ამიტომ განაგებდა ის მთელ სამფლობელოებს. ხოლო მიზეზი იმისა, რის გამოც მოკლეს ეს ჯანსა მირზა, ასეთია: ორგვარად ლაპარაკობენ. ერთნი ამბობენ: იმის შიშით ბრძანა მისი მოკვლა, რომ პაპის სიკვდილის შემდეგ მას შეეძლო ამის მოკვლა ან აჯანყდებოდა მის წინააღმდეგ პაპის, თემურლენგის, მთელი ჯარით. ის ჩალათაელებს<sup>8</sup> უყვარდათ და მისი დიდი სიკეთე სურდათ. მრავალი ხალხი იმასაც ლაპარაკობდა, რომ რადგან დიდი ბატონი მოკვდა, ბატონად გახდომის ღირსი ის იყო. სხვები ამბობდნენ: როცა ამ ჯანსამ თემურლენგის სიკვდილი გაიგო, შეკრიბა მცირერიცხოვანი რაზმი, თვითონაც შეიარაღდა და იმ კარავში გამოცხადდა, სადაც ჩვეულებრივი საბჭო იკრიბებოდა ხოლმე. იქ ნახა ერთი მოლა<sup>10</sup>, ე. ი. დოქტორი, რომელიც დიდად იყო დაახლოებული ომარ მირზასთან, ბანაკის საქმეებს ის წყვეტდა. [ჯანსას] არ უყვარდა იგი, რადგან, როცა ქორწინების ნება ითხოვა, ომარ მირზამ ამ მოლას მისცა მისი სასურველი ქალი. ამისათვის და კიდევ სხვა მიზეზების გამო არ უყვარდა მოლა და, ამ კარავში რომ ნახა, მოკლა. როგორც კი მოკლა, ჯანსა და მისი ხალხი გაშიშვლებული ხმლებით წავიდნენ ომარ მირზას კარვისკენ. მეფის ჯარმა რომ ეს დაინახა, სტაცეს ხელი იარაღს და დაუყოვნებლივ გაეშურნენ იმ კარვისაკენ, სადაც ბატონი იმყოფებოდა. ურდოში ხმა გავარდა, ამბობდნენ, ედიგეი (hedigui)<sup>11</sup> თათრეთის<sup>12</sup> იმპერატორი (emperador de tartalia) და მეფე გიორგი (Reysoroso)<sup>13</sup> თავს დაგვესხნენო. ეს არეულობა რომ დაინახა, ჯანსა მირზა წავიდა იქ, სადაც ბატონის სასურველი იყო. როცა მივიდა, დახვდა დიდძალი ხალხი, რომლებმაც კარავთან არ მიუ-

შვეს დ მზად იყვნენ დაეცვათ ბატონი. ამბობენ: ერთმა დიდებულმა რაინდმა, შეიარაღებულმა თავისი ამალით, ჯანსა მირზას უთხრა, ამას რას აკეთებო. ჯანსა მირზამ სთხოვა მას, ომარ მირზასთვის გადაეცა სიმაართლე, რომ მას ნურაფრის ეშინია, მე ეს მხოლოდ იმიტომ გავაკეთე, მინდოდა ჩემი შტერი შოლა მომეკლაო. ხსენებული რაინდი წავიდა ამ სიტყვების გადასაცემად, მაგრამ მან იხილა იგი უაღრესად შეშინებული და გულგატეხილი და უთხრა:

— ბატონო ნუ გეშინია, თუ გსურს მოგიკლავ ამ ჯანსას.

და მაშინვე გაეშურა რაზმით და მოჰკვეთა მას თავი. როცა ჯანსა მოკლეს, მთელი მისი ჯარი გაიქცა. ომარ მირზამ ხსენებული ჯანსას თავი გაუგზავნა თავის მამას მირაშა მირზას და მმას აბუბექრ (avobba-quir)<sup>14</sup> მირზას. ისინი ცხოვრობდნენ ბლდადში<sup>15</sup>. ომარ მირზამ ბრძანა ეჩვენებინათ მათთვის თავიანთი შტრის თავი. ეთქვათ აგრეთვე, რომ, რადგან მისი პაპა უკვე მკვდარი იყო, მისულიყვნენ ისინი მასთან და იგი მიიღებდა [მირაშა მირზას] როგორც მეფეს. შემდეგ ყველანი შეიკრიბებიან ვიატის (viat)<sup>16</sup> დაბლობზე, თავრიზის (Turks) მახლობლად და იგი მთელ თავის დიდებულებთან ერთად სამართლისა და წესის მიხედვით გადასცემს მას სამეფოს. ამბობენ: როცა მირაშა მირზამ დაინახა ხსენებული ჯანსა მირზას (თავი). თავის შვილის შეეშინდა.

... ამ დროს წამოვიდა საქართველოს მეფე (Rey de gurgania), რომლის შესახებ უკვე მოისპინეთ, შეიქრა ყარსისა (avenique)<sup>17</sup> და არზრუმის (azeron)<sup>18</sup> მიწებზე, რომელიც დიდ სომხეთშია (armenia la mayor)<sup>19</sup> თავრიზის მიწებამდე, გადაწვა და გაძარცვა მრავალი სოფელი და დასახლებული პუნქტი. ისეთი დიდი შიში გამოიწვია, რომ თავრიზელი მუსლიმანები (moros)<sup>20</sup> ფიქრობდნენ ბატონი [ომარ მირზა] მოვიდოდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. სამაგიეროდ თავის ცნობილ ძველ რაინდს, რომელსაც ომარ ტობანი (homar tcban) ერქვა, უბრძანა ხუთი ათასი მხედრით წასულიყო და საქართველოს მეფე ამ მხარის საზღვრებიდან განედევნა. მასთან შეერთება უბრძანა თავრიზისა და სხვა მხარეების ერთგულ ჯარებს. სულ შეიკრიბა, დაახლოებით, თხუთმეტი ათასი მხედარი. მათ დიდი სისწრაფით გაიარეს ეს ქალაქი თავრიზი და გაჩერდნენ ალა-თალის (alacao) ველთან, რომელიც დიდ სომხეთშია. მეფე გიორგიმ (soroso), გაიგო რა ამის შესა-

ხებ, მოვიდა ხუთი ათასი მხედრით და ერთ ღამეს თავს დაესხა მათ, დაამარცხა, მრავალი მათგანი ამოწყვიტა და იმათ, ვინც გადაარჩინენ, თავი შეაფარეს თავრიზს. დიდი მითქმა-მოთქმა და შიში იყო ქალაქის მუსლიმანებში. ამბობდნენ, რომ ქაფარებმა (cafars)<sup>21</sup> გაიმარჯვეს მუსლიმანებზე. ისინი ქრისტიანებს ეძახიან ქაფარებს, რაც ნიშნავს კანონის არმქონე ხალხს. თავიანთ თავს კი უწოდებენ მუსლიმანებს, რაც მათს ენაზე ნიშნავს რჩეული და კარგი კანონის ხალხს. სხვები ამბობდნენ, რომ [მუსლიმანები] კი არ არიან დამნაშავენი [ქაფარებმა რომ გაიმარჯვეს], არამედ ბატონი [ომარ მირზა], რომელსაც ბედი არ წყალობს. ბედი წყალობდა თემურლენგს, რომელიც უკვე მკვდარი იყო<sup>22</sup>.

სამშაბათს, რვა სექტემბერს [ელჩები] გაემგზავრნენ იქიდან ერთ ჩალათაელ გამცილებელთან ერთად. მან ისინი წაიყვანა საქართველოს გზით (el camino de gurgania). ხელმარცხნივ დატოვეს არზრუმის გზა, რომლითაც მივიდნენ [სამარყანდში]. ეს ღამე გაატარეს ერთ ქალაქში, რომელიც ეკუთვნოდა ყარსის ბატონს. მეორე დღეს, განთიადისას, ადგნენ და გადაიარეს ძალიან მაღალი მთა. როცა მეორე მხარეს დაეშვნენ, დაინახეს თორთომის (corcon)<sup>23</sup> ციხე, რომელიც მაღალ ფრიალო კლდეზე იდგა. ეს ციხე დაიპყრო თემურლენგმა და ხარკი დაადო. იგი საქართველოს სამეფოსია (senorio de gurgania). აქედან ერთი ლიგის დაშორებით სოფელში გაათენეს. ამ მთებზე იარეს ორი დღე.

პარასკევს, თორმეტ სექტემბერს, მივიდნენ ერთ ციხესთან, რომელსაც ვისერი (vicer)<sup>24</sup> ჰქვია და ეკუთვნოდა მოლას. მოლა ნიშნავს დოქტორს ან განსწავლულს. ამ მოლამ ისინი ღირსეულად მიიღო და მასთან ისადილეს. მთელი ეს მხარე შემფოთებული იყო ყარაოტომანისა (caraotoman)<sup>25</sup> და სხვა ტომებისაგან, რომლებიც გარბოდნენ თავიანთი პირუტყვით. [ელჩები] მაშინვე წავიდნენ იქიდან და მეგზურმა უთხრა მათ, რომ მისთვის აუცილებელი იყო ერთი მთავრის ნახვა, რომელიც იმყოფებოდა ქალაქ ისპირში (aspri)<sup>26</sup>. მისთვის უნდა გადაეცა თავისი ბატონის წერილი. ამიტომ ისინი აუცილებლად უნდა მისულიყვნენ მასთან. თორთომიდან იქამდე იარეს მთებზე და ბორცვებზე. ამ მხარის ბატონს პირა კონბერი (pira conber) ჰქვია. ეს მხარე, მიუხედავად იმისა, რომ მთიანია, საკვებით მდიდარია.

მეორე დღეს, შაბათს<sup>27</sup>, ისინი მივიდნენ იმ მთავართან და საჩუქრად მიართვეს კამოკანის<sup>28</sup> ორი ტანსაცმელი. მასთან ისაძილეს. მან მისცა კაცი, რომელიც მიიყვანდა მათ ტრაპიზონის იმპერიამდე. ეს ღამე მთის ძირას, ერთ სოფელში გაატარეს.

მეორე დღეს, კვირას, ისინი ავიდნენ ძალიან მაღალ მთაზე. აღმართი გრძელდებოდა ოთხ ლიგაზე<sup>29</sup> და იმდენად ოღრ-ოჩოღრო იყო, რომ პირუტყვი და ადამიანები დიდი ვაკირვებით მიდიოდნენ. ამ დღეს ისინი გავიდნენ საქართველოდან და შევიდნენ არაქიელის ქვეყანაში (tierra de araquiel)<sup>30</sup>. ქართველები (grieganos) კარგი აგებულების და ღამაზი სახის ხალხია. მათი რელიგია ბერძნულია, ენა კი განსაკუთრებული<sup>31</sup>.

ორშაბათს ისაძილეს არაქიელის ქვეყნის ერთ სოფელში, მაშინვე გაემგზავრნენ და გაათენეს სხვა სოფელში. მიზეზი, რომლითაც ისპირის ეს მუსლიმანი მთავარი (este moro senior de aspri) ფლობს არაქიელის ქვეყანას, ასეთია: ამ ქვეყნის მოსახლეობა უკმაყოფილო იყო თავისი ბატონით, რომელსაც ერქვა არაქიელი. იგივე ერქვა ქვეყანასაც. წავიდნენ ისინი ისპირის მთავართან და უთხრეს, რომ თავიანთ ბატონად სცნობდნენ იმ პირობით, თუ მათი დამცველი იქნებოდა. ასე მოიქცნენ: მან თავის მაგიერ გამოგზავნა მუსლიმანი (moro), რომელსაც უნდა ემართა ქვეყანა ერთ ქრისტიანთან ერთად. ეს მხარე უაღრესად მთავორიანია. რამდენიმე იმდენად რთული გადასასვლელია, რომ ცხოველები ვერც კი დადიან, ხოლო ზოგიერთ ადგილას ერთი კლდიდან მეორეზე ხიდად გადებულა ხის მორი. ამ მხარეში დატვირთულ პირუტყვს არ შეუძლია სიარული. ამიტომ ადამიანებს უხდებოდათ ყველაფერი თავიანთი ზურგით გადაეტანათ. ამ მხარეში პური ცოტაა. ამ ქვეყანაში ელჩებს დიდი საფრთხე ემუქრებოდა მოსახლეობისაგან. მიუხედავად იმისა, რომ იქ ქრისტიანი სომხები ცხოვრობენ, მაინც ცუდი ზნე-ჩვეულების ხალხია. მათ არ სურდათ სხენებული ელჩები თავიანთ ქვეყანაში გაეტარებინათ მანამდე, ვიდრე არ მისცეს თავიანთი ბარგიდან რალაც-რალაცეები. ამ მთებზე იარეს მათ ოთხი დღე და მიადწიეს ზღვის ნაპირთან მდგარ ერთ სახლს, საიდანაც ტრაპიზონამდე ექვსი დღის სავალი იყო. აქედან ცუდი გზით იარეს იმ ადგილამდე, რომელსაც სურმენე (xurmenia)<sup>32</sup> ერქვა. მთელი ტრაპიზონის მხარე, რომელიც ზღვასთან მდებარეობს, დაფარულია მაღალი მთებითა და ტყეებით. ტყეში ყველა ხეზე აშვებულია ვაზი, რომლის [ნაყოფისაგან] აყენებენ ღვინოს. [ვაზს] არასოდეს არ უვლიან. ცხოვრობენ დაბებში (poblado), რაც მათ ენაზე ნიშნავს აგარაკს.

quinteria), ე. ი. ერთ ადგილას გაერთიანებულია რამდენიმე კომლი. ამ გზაზე დაეღუპათ [ელჩებს] რაც კი პირუტყვი ჰყავდათ.

## ო მ ნ ი ა ვ ნ ე ბ ი

1. 1404 წ.

2. კლავისო კოლმარინსაც უწოდებს. ეს არის თანამედროვე სოფელი სიურმალი წინათ სურმარი და სულმარი, დამახინჯებული სურბ-მარი, ე. წ. მარი (იხ. კლავისოს დღიურების რუსულ ენაზე მთარგმნელის შენიშვნა. Рюн Гонзалес де Клавихо с. 339. იხ. აგრეთვე, Путешествия Ивана Шиллтбергера по Европе, Азии и Африке с 1394 г. по 1427 г. Перевел с немецкого и снабдил примечаниями Ф. Брун. „Записки императорского Новоросийского университета“. Год первый, т. I, с. 48). XIII—XIV საუკუნეებში გამოირჩევა მრავალრიცხოვანი მოსახლეობითა და მძლავრი ციხესიმაგრით. 1387 წ. იგი თემურ-ლენგმა აიღო და მისი ზღუდე მიწასთან გააწორა, ხოლო ქალაქისა და მისი მახლობელი სოფლების მოსახლეობა ტყვედ წაიყვანა (იხ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 282, 410).

3. ლიგა — სიგარძის საზომი ერთეული. თანამედროვე ესპანეთში უდრის 5572 მეტრს. მისი სიღრმე სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი იყო. ყველაზე აღრინდელი ცნობა, რომელიც მასზე წარმოდგენას გვიქმნის, არის 1658 წ. მიღებული ლიგა. იგი უდრიდა ესპანურ სამ მილს ანუ ოთხ ვერსტს (I-ვერსტი=1,0668 კმ).

4. არსებობდა რწმენა, თითქოს არარატზე იყო ნოეს კილობანი. ამის შესახებ გადმოგვცემს, შუა საუკუნეების მრავალი მოგზაური. აღრინდელ მოგზაურებზე (რუბრუკვისი, მანდეელი, პაიტონი, პოლო...), რომ არაფერი ვთქვათ, საქმარისი იქნება ვაიხსენოთ კლავისოს და ბარბაროს ცნობები (XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალისვილიმა, თბ., 1981, გვ. 62).

5. ბალესტა, ბალესტრა — ბალისტა, სატყორცნელი მანქანა, რომელიც მოქმედებდა დაგრეხილი ბოქვოს (მყესი, თმა, თოკი და სხვ.) ღრეკალობის ძალით. იგი ფართოდ იყო გავრცელებული უძველესი დროიდან (ძველი აღმოსავლეთი, საბერძნეთი, რომი). V საუკუნემდე იყენებდნენ ციხე-სიმაგრის კედლების დასანგრევად. ბალისტით შეიძლება 35 კგ. ქვების, მძიმე ისრების ცეცხლმოკიდებული საგნებისა და სხვ. 400—1000 მეტრზე გასროლა. ბალისტის გასასროლად გაწყობდა ჭირდებოდა 15 წუთიდან 1 საათამდე და ემსახურებოდა რამდენიმე კაცი.

6. ოქროს ურდოს ყაენი თოხთამიში, ჭუჩის შთამომავალი. XIV ს. 70-იან წლებში თავს აფარებდა ჭერ თემურლენგის კარზე, შემდეგ კი განაგებდა მისგანვე ნაბოძებ ოთარას და საურანის ოლქებს. თოხთამიშმა ისარგებლა ოქროს ურდოს ხანის მამაის დამარცხებით კულიკოვოს ბრძოლაში და ხელთ იგდო ოქროს ურდოს ტახტი. იგი მთელი ძალით ცდილობდა, კვლავ დაემორჩილებინა რუსეთი და განთავისუფლებულიყო თემურის ძალაუფლებისაგან. 1389 წ. შეიჭრა თემურის სამფლობელოებში და აიკლო. 1395 წ. დამარცხდა თემურთან ბრძოლაში, დაკარგა მდინარე ვოლგის აღმოსავლეთით მდებარე ყველა სამფლობელო. 1398 წ. დამაცხდა იმიერვოლგის ყაენთან თემურ-კუტლუსთან ბრძოლაში და ლიტვას შეაფარა თავი. 1399 წ.

თოხთამიში და ლიტვის მთავარი ვიტოვტი კვლავ დაამარცხა თემურ-ყუტლუმ. 1406 წ. თოხთამიში მოკლა ციმბირის ხანმა შადიბეკმა (В. Тизенгаузен, Сборник материалов относящихся к истории Золотой Орды, т. 2, М.—Л., 1941; А. Н. Насонов, Монголи и Русь, М.—Л., 1940).

7. საქართველოს მეფე გიორგი VII (1393—1407). რაც შეეხება იმას, თუ რატომაა გიორგის ნაცვლად Sorso (სხვაგან Sordu), შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვეყვს თანხმობების შეცვლასთან, ალბათ, ხელნაწერის არასწორად ამოკითხვის გამო. Sorso—Sordo—Gorgo—Giorgio.

8. ოპარ მირზა — თემურლენგის შვილიშვილი, შვილი მირან შაჰისა (1404—1409).

9. ჩალათაელები. სახელწოდება წარმომდგარია ჩინგიზ ყაენის ვაჟის ჩალათაის სახელიდან. მან მიიღო მიწები მავერანაჰრიდან (ამუ-ღარიასა და სირ-ღარიას შორის მდებარე მიწები, შუამდინარეთი) აღმოსავლეთ თურქესტანამდე. ჩალათაის მემკვიდრეები თურქესტანში ბატონობდნენ XVII საუკუნეზე (К. Э. Босворт, Мусульманские династии, М., 1971, с. 192; В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, ч. II, СПб., 1900).

10. მოლა (არაბ. მაულა — ბატონი, მბრძანებელი) — მუსლიმანთა რელიგიური მსახური. ასევე იწოდებიან სწავლული ლეთისმსახურები მუსლიმანურ ქვეყნებში. კლავიზო, როცა მოლას აღარებს ლოქტორს, გულისხმობს მაშინდელი ევროპის უნივერსიტეტებში მოღვაწე თეოლოგებს.

11. ელიგეი (1352—1419) — თეთრი ურდოს ამირა. ოქროს ურდოს ყაენის ურუს-ხანისაგან დევნილი ელიგეი 1376 წ. გაიქცა თემურლენგთან და დაეხმარა თოხთამიშის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან 1391 წ. თემურს უღალატა და თავის მომთაბარეებთან გაიქცა. 1396 წ. იგი ვოლგისა და იაიკის შორის მდებარე მიწების დამოუკიდებელი მბრძანებელი გახდა, რომლის ბაზაზე შემდეგში წარმოიქმნა ნოღაის ურდო. ელიგეიმ ოქროს ურდოს ყაენს თემურ-ყუტლუსთან ერთად დაიწყო ბრძოლა თოხთამიშის წინააღმდეგ. 1397 წ. ყაენმა ის დანიშნა ოქროს ურდოს ჭარბების სარდლად. 1399 წ. მან გაანადგურა ლიტვის მთავრის ვიტოვტისა და თოხთამიშის ლაშქარი. თემურ-ყუტლუს გარდაცვალების (1401) შემდეგ ელიგეი ოქროს ურდოს ფაქტიური მბრძანებელი გახდა. მან ტახტზე დასვა შადიბეკი (1401—1407), რომლის დროსაც მოხდა ჯუჩის ყველა ულუსის გაერთიანება. 1406 წ. ელიგეიმ მოკლა თოხთამიში. 1407 წ. მან გაილაშქრა ჯალალ-ად-დინის, ბულგარების ხანის წინააღმდეგ. არსეთის დაზარალების მიზნით, ელიგეიმ 1408 წ. ალყა შემოარტყა მოსკოვს, მაგრამ ვერ აიღო. 1410—1412 წწ. დეცენტრალიზაციის მომხრე ხანებმა დაიწყეს გამოსვლები ურდოში. ელიგეიმ ხორეზმს შეაფარა თავი მაგრამ 1414 წ. ოქიდანაც გამოდევნეს. 1419. წ. იგი მოკლა თოხთამიშის ერთ-ერთმა ვაჟმა (Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский, Золотая Орда и ее падение, М.,—Л., 1950, с. 361, 379, 380).

12. ტარტარია, დიდი ტარტარია, ასე უწოდებდნენ კლავიზო და შილტბერგერი ოქროს ურდოს, ყოფილეთს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერმინში (Tartaria Magna) ევროპელებს გვიანდელ შუა საუკუნეებში ესმოდათ იუანის იმპერია, რომელშიც მონღოლეთი და ჩინეთის დიდი ნაწილი შედიოდა. მართალია იუანის იმპერია XIV საუკუნეში მოიშალა, მაგრამ ტერმინმა (Tartaria Magna) დღესაც იარსება (После Марко Поло. Путешествия Западных чужеземцев в страны трех

Индии. Перевел с латинского и старотальянского языков, введение и примечания Я. М. Света, М., 1968, с. 217).

13. იბ. შენიშვნა 7.

14. აბუბაქირი — აბუბექრი, თემურლენგის შვილიშვილი, შვილი მირანშაჰისა, თემურლენგის გარდაცვალებისას 23 წლისა იყო. შილტბერგერმა, როგორც თვითონ ამბობს, აბუბექრის სამსახურში გაატარა ოთხი წელი.

კლავიხოს გადმოცემის თანახმად, მირანშაჰი ჭკუაზე შეცდა და თემურისგან საგამგებლოდ მიღებული სპარსეთის უბრწყინვალესი ქალაქები სულთანიე და თავრიზი ნანგრევებად აქცია. განრისხებულმა თემურმა მას მეფობა ჩამოართვა და აბუბექრს შესთავაზა. აბუბექრმა უარი თქვა, მაგრამ მირანშაჰის მეორე ვაჟმა, ომარ მირზამ, სიამოვნებით მიიღო ასეთი საჩუქარი და მამისა და ძმის დაუძინებელი მტერი გახდა. თემურლენგის გარდაცვალების შემდეგ ომარ მირზამ განიზრახა მამისა და ძმის სიყვილით დასჯა. აბუბექრი შეიპყრო კიდევ, მაგრამ მან საპყრობილედან გაქცევა მოახერხა და სპარსეთის ტახტზე მამის უფლებების აღდგენას მიიღწია (Embajada a Tamorlan, p. 115, 116. 235—238) მირანშაჰი ყარა-ოღუსუფთან ბრძოლაში დაიღუპა 1408 წ.

15. ვალდატი, ბაბილონი — ბაღდადი. IX საუკუნიდან გადაიქცა ხელონობისა და სატრანზიტო ვაჭრობის უმსხვილეს ცენტრად. ბაღდადში თავს იყრდა უდიდესი სიმდიდრე, მოქონდათ საქონელი და პროდუქტები ინდოეთიდან, არაბეთიდან, ევროპიდან. აბასიდების ხალიფატის დაშლასთან ერთად ბაღდადმა თანდათან დაკარგა თავისი ოდინდელი მნიშვნელობა. 1258 წ. იგი აიღეს მონგოლებმა და გაძარცვეს. 1393 და 1401 წლებში თემურმა ორჯერ იღო ბაღდადი და საშინლად დაარბია. განსაკუთრებით საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა იგი 1401 წ., როცა თემურის ბრძანებით გაეღიტეს ამ ქალაქის მთელი არაბული მოსახლეობა (ო. ცქირიშვილი, ქალაქ ბაღდადის ისტორიისათვის, თბ., 1968).

16. სრუხნეესკის გამოცემაში — ვიანი. უნდა იგულისხმებოდეს ვანის ტბის მიდამოები ან ქ. ვანი.

17. ავნიქვე უნდა იყოს ყარსი. კლავიხო, რადგან საკმაოდ დიდ ტერიტორიულ ერთეულზე ლაპარაკობს, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ ყარსი. ეს გარემოება თუ არა, მაშინ შეგვეძლო გვეგულისხმა ავნიქის ციხე.

18. არზრუმი — ქალაქი აღმოსავლეთ თურქეთში. მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი შუა საუკუნეებში. იგი მდებარეობდა ტრაპიზონიდან თავრიზისკენ მიმავალ გზაზე.

19. სომხური მიწების დიდ და მცირე სომხეთად დაყოფა ანტიკური დროიდან მოდის. ამ ტერმინმა შუა საუკუნეებში რამდენიმე სხვა გეოგრაფიული შინაარსი მიიღო. დიდ სომხეთს უწოდებდნენ იმ ტერიტორიას, რომელიც მოიცავდა დღევანდელი სომხეთის სსრ-ს და ქალაქებს: ერზინჯანს, არზრუმს, ანისს, ყარსს და ვანს. დიდი სომხეთის ჩრდილო ნაწილი XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამეფოში შედიოდა XIII ს. 30-იან წლებში დიდი სომხეთი მონგოლებმა დაიპყრეს, შემდეგ კი მის უდიდეს ნაწილს ოსმალები დაეპატრონენ.

მცირე სომხეთი ერქვა კილიკიის სომხურ სახელმწიფოს, რომელიც ასევე ოსმალეთის ხვედრი გახდა.

20. კლავიხო ესპანური ჩვეულების თანახმად ყველა მუსლიმანს მავრს უწოდებს.

21. ქეთარი — ურწუმრო. ასე უწოდებდნენ მუსლიმანები არამუსლიმანებს.

22. თემურლენგი გარდაიცვალა 1405 წ. 18 თებერვალს ქ. ოთარაში ინდოეთზე ლაშქრობისათვის სამზადისის დროს.

23. ძველი ქართული ციხესიმაგრე თორთომი ან თორთუმი, როგორც თანამედროვე რუკებზეა. ვახუშტი ბატონიშვილთან ყოველთვის თორთომია (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 657, 684, 686, 687, 699). თორთუმ ფორმა, ს. ჭიქიას მიხედვით, თურქულ წარმოთქმასთან არის შეგუებული (იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანიურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჭიქიამ, თბ., 1964, გვ. 102—103). ოდესლაც არსებობდა თორთომის პროვინცია ისტორიულ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. იგი ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია. მის ცენტრს წარმოადგენდა თორთომის ციხე, რომლის ნანგრევებს დღემდე მოუღწევია. XVI საუკუნეში თორთომის ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია, სხვა ქართულ მიწებთან ერთად, ოსმალებმა მიიტაცეს.

24. ვისერი შეიძლება იყოს „ვიზერა“ მდ. გალანიმა-დერზე (იხ. ს. ჭანაშია, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის სინათლეზე. შრომები, II, თბ., 1952, გვ. 94).

25. ყარაოტომანი. კლავიხო სხვაგან ამბობს, რომ: „ყარაოტომანი, თურქმანი რაინდი, თემურლენგის ყოფილი ვასალი, აჯანყდა“-ო. ჩემი აზრით, უნდა იგულისხმებოდეს ყარაშანიელების მთავარი. ყარაშანიელების მთავრები წარმოშობით თურქმანები იყვნენ.

26. სპერი. თურქულად ისპირი, ერთ დროს იბერიის სამეფოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი პროვინცია. ს. ჭანაშიას მიაჩნდა, რომ სასპერებიდან (სპერის მოსახლეობა) წამოვიდა ეთნონიმი „იბერი“ (იხ. ს. ჭანაშია, შრომები, II, გვ. 58—62, 95) შემდეგი ტრანსფორმაციით: პერ-პბერ-იბერ. სხვადასხვაენოვან და სხვადასხვა დროის წყაროებში ეს პროვინცია და მისი მოსახლეობა მოიხსენიება შემდეგნაირად: სასპირი, სასპირები, სასპერი, სასპერები, სასეპირი, სასეპერები, საპეარი, სასპეარები, საბირი, საბერები, სავეარი, სავეარები.

27. 1405 წლის 14 სექტემბერი.

28. კაშოკანი — ოქროთი ნაკერი ფერადი აბრეშუმის ქსოვილი, ფარჩა.

29. იხ. შენიშვნა 2. კლავიხოს დროსაც იგივე ლიგა თუ იყო ხმარებაში, მაშინ გამოდის, რომ ელჩებს აღმართზე უვლიათ 17.0488 კმ.

30. გაუგებარია, რომელ ადგილს გულისხმობს კლავიხო „არაქიელის ქვეყანაში“.

31. კასტილიიდან სამარყანდისაკენ მიმავალმა კლავიხომ ტრაპიზონიდან თავრიზამდე (1404 წ. 27 აპრილიდან 11 ივნისამდე) გაიარა შემდეგი დასასლენული პუნქტები (ჩაოთუთელი იმ მიმდევრობით, როგორც კლავიხომ მოგვცა) ტრაპიზონი — პილომა სუა-სიგანაკა-კადაკა-დორილე-ალანგოგოსა-არსინგა-შაბეგა-პაგარიხი-არზრუმისჩუ-დელუარკენტი-ნაუჭუა — სურმალი-ევიგა-ბაიაზედი-ალინჩა-ხოი-კაზა-კუსაკანი ჩაუსკადი-თავრიზი.

სამშობლოში დაბრუნებისას იმავე თავრიზიდან ტრაპიზონამდე (1405 წ. 22 აგვისტოდან 17 სექტემბრამდე) გაიარა: თავრიზი-ხოი-ვალაშეკტი-ყარსი-თორთომი-ვისერი-ისპირი-არაქიელის ქვეყანა-სურმენე-ტრაპიზონი.

32. სრეზნესკის გამოცემაში — Lasurmena. ეს არის (Surmeneh) მნიშვნელოვანი ნავსადგური ტრაპიზონის აღმოსავლეთით, დასახლებული უმეტესად



## Резюме

Грузинские исторические источники содержат немного сведений о царствовании Георгия VII, особенно — о его последнем периоде. Этот недостаток частично восполняют сведения, имеющиеся в дневниках Рюи Гонсалеса де Клавихо, посла испанского (кастильского) царя Энрике III при дворе Тимура-Ленга.

Выясняется, что Георгий VII во время борьбы с Тимур-Ленгом был связан с ханом Золотой Орды Тохтамышем. Более того, возможно предположить, что союз с Золотой Ордой Грузия поддерживала до конца жизни Тимур-Ленга.

Направляющийся из Самарканда в Кастилию Клавихо посетил по пути одну из самых важных крепостей Южной Грузии Тортоми и оставил сведения о том, как Тимур-Ленг покорил это важное укрепление. Эти сведения Клавихо подтверждены и персидскими источниками.

Во время своего пребывания в Тавризе Клавихо стал свидетелем похода Георгия III на Карс, Арзрум и Тавриз. Пять тысяч всадников царя предали огню и мечу многие города и села. На Алатапском поле, близ Тавриза войско Георгия VII нанесло поражение 15-тысячной коннице, посланной правителем Ирана. Дневники Клавихо дают возможность сделать вывод о том, что указанный поход Георгия VII был осуществлен в период с 19 мая по 11 июня 1405 года.

При сопоставлении этого, данного Клавихо, сведения с другими источниками можем сделать вывод о том, что сложившиеся после смерти Тимур-Ленга обстоятельства дали возможность Георгию VII вторгнуться с небольшим войском во владения отвернувшегося от него Ивана Атабага, подчинить его и продолжить начатый поход на соседней территории, тем более, что к тому времени туркмены не имели серьезной военной силы ни к югу от Грузии, ни по направлению к Тавризу.

По моему мнению, описанный Клавихо поход грузин ставил основной целью подчинение и возвращение центральной власти одного из крупнейших княжеств — Саатабаго.

Клавихо дает интереснейшие сведения о старейшей грузинской провинции Иопири. Выясняется, что в начале XV века население этой провинции в основном составляли грузины.

## სამძიებელი

აბასიდების ხალიფატი 42

აბუბექრი 36, 24, 30, 42

ავენიქვე იხ. ყარსი 42

აენიქის ციხე 42

ავქალა 21

აზერბაიჯანი 19, 23, 26, 28

აზია 15

ალა-თალი 24, 31, 36

ალინჯა 43

ალფონსო ფერნანდესი 13

ამიერკავკასია 15, 20, 28

ამუ-დარია 41

ანი 42

ანკარა 18

ანტონიო დე სანჩა 15

ანჰოი 13

არაბეთი 42

არარატი 40

არაქიელი 38

არაქიელის ქვეყანა 38, 43, 44

არაქსი 18, 34

არდებილი 25

არზრუმი 13, 20, 24, 36, 37, 42, 43

ასლანიკაშვილი 21

აღმოსავლეთი 13, 16

ახსორის გადასასვლელი 21

აჰმად ჭელაერი 26, 27

ზაბილონი 42

ზაიაზეთი (სულთანი) 15, 18, 27

ზაიაზეთი (ქალაქი) 13, 27, 43

ზალკანეთი 16

ზალხი 13

ზარზარო 40

ზარსალ თურქალი 25, 26

ზასთან ჭაგირი 25

ზალდადი 26, 27, 28, 36, 42

ზერი ეგნატაშვილი 17, 22

ზერქენიშვილი დ. 21

ზიზანტიის იმპერია

ზირთეისის ციხე 31

ზრიტანეთი 14

ზროსე შ. 22

ზურჯანაძე შ. 29

ზუხარა 15

გალანიმა-ღირე 43

განჯა 25, 30, 32

გარსია სილვა ი ფიგუერა 15

გენუა 16

გიორგი VII 12, 18, 20, 24, 25, 27, 28, 30, 34, 36

გონსალეს არგოტა დე მოლინა 15

გორჯიბეგი 22

გორჯიკი 21

გუდახევი 32

გუნდორის გადასასვლელი 21

გურჯისტანი 21

დადიანი 29

დამლანი 13

დასავლეთი ევროპა 16

დეულლარკენტი 43

დემურ-კაპი 21

დერე შდ. 43

დიდი ტარტარია 41

დიდი სომხეთი 36, 42

ღორილე 43

ეგვიპტე 26, 27, 28

ეგიდა 43

ელიგევი 19, 35, 41

ეეროპა 17, 42  
 ენრიკე 111 12, 13, 14, 17, 18  
 ერზინჯანი 13, 42  
 ესპანეთი 12, 16  
 ვალაშკერტი 13, 44  
 ვალდატი 42  
 ვანი (ქალაქი) 42  
 ვანის ტბა 42  
 ვიანი 42  
 ვახუშტი ბატონიშვილი 21, 23, 28  
 ვიანი 42  
 ვიკტი 36  
 ვიზერა 43  
 ვისერი 21, 37, 43, 44  
 ვიტოვტი 41  
 ვოლგა 41  
 თაერიზი 13, 23, 24, 28, 30, 36, 37, 42 43 44  
 თათრეთი 35  
 თაყა ფანასკერტელი 21  
 თეთრი ურდო 41  
 თეირანი 13,  
 თემურლენგი 12, 13, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 23, 25, 27, 28, 29, 30, 35, 37  
 თემურ-ყუტლუ 41  
 თოვმა მეწოფეცი 26  
 თორთომი 21, 22, 37, 44  
 თორთომ-ისპირის მთა 21  
 თორთომის მდინარე  
 თორთომის პროვინცია 43  
 თორთომის ციხე 21, 22, 43  
 თორთომის ხეობა 21, 32  
 თორთუმი იხ. თორთომი 43  
 თოხთამიში 18, 19, 34, 40, 41  
 თუთმაში 21  
 თურქეთი 16  
 იაიკი 41  
 იზერიის სამეფო 43  
 იბრაჰიმ ფეჩევი 43  
 იბრაჰიმ შირვანშაჰი 29  
 ივღირი 13  
 ივანე ათაბაგი 30, 31

ილდრინი (ილდრიმი) იხ. ბაიაზეთი 17  
 იმიერ ვოლგისპირეთი 41  
 ინდოეთი 16, 42, 43  
 იოანე კალიფანტელი 17  
 ირანი 19, 26  
 ირანის აზერბაიჯანი 19  
 ისპირი 32, 37, 38, 44  
 ისჩუ 43  
 იუანის იმპერია 41  
 კალისი 13, 14  
 კავკასია 14  
 კავკასიონი 19  
 კაზა 43  
 კაკაბაძე 27, 31  
 კანარის კუნძულები 17  
 კასტილია 12, 14, 15, 17, 43  
 კასტილია-ლეონი 13  
 კატიტაძე დ. 18, 23, 31  
 კიკნაძე რ. 25, 30  
 კილიკია 43  
 კლაეზო 13, 14, 15, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28  
 კოლა 21  
 კოლის მინდორი 31  
 კოლმარინი 40  
 კონსტანტილე იხ. კონსტანტინე ბატონიშვილი 30  
 კონსტანტინე ბატონიშვილი 30  
 კონსტანტინოპოლი 16  
 კოსორი 21  
 კუსაკანი 43  
 ლანგ თემურ იხ. თემურ ლენგი 12, 35, 37  
 ლიტვა 41  
 ლონდონი 14  
 შადრადი 13, 14, 15  
 მავერანაჰრი მამაი 41  
 მამისტვალისევილი ე. 12, 40  
 მანდევლი 40  
 მარანდა 25  
 მარი წმ. იხ. სურმალი 19, 20, 34, 40  
 მარნეული 21  
 მალზულანგურჯი 25, 26

მახლობელი აღმოსავლეთი 43  
მელიქსეთ-ბეგი ლ. 26  
მენი-კული 31  
მესხეთი 30  
მეშქელი 13  
მიანა 13  
მირან შაჰი 30, 41, 42  
მირაშა მირზა 36  
მირახონდი 24, 25, 26, 27  
მისრეთი იხ. ეგვიპტე 26  
მონღოლეთი 42  
მცირე აზია 14, 15, 20, 28  
მოსკოვი 41  
მუშეხი 21  
მცირე სომხეთი 43

ნაუჯუა 43  
ნახქევანი 25, 30, 32  
ნიზამ ად-დინ შაჰი 21, 22  
ნიკოპოლი 16  
ნიშაბური 13  
ნოე 34  
ნოღაის ურდო 41

ომარ ტობანი 24, 25, 36, 37  
ომარ მირზა 19, 24, 25, 26, 30, 35, 36, 42  
ოსმალეთი 15, 17, 18, 32  
ოთარა 28, 40, 43  
ოთარაის ოლქი 40  
ოქროს ურდო 16, 18, 19, 41

რანი 23  
რახსის კიდე 29  
რომი 40  
რუბრუკეისი 40  
რუი გონსალეს დე კლავიხო 12, 13  
რუსეთი 40, 41

პაეს დე სანტა მარია გომეს დე სალა-  
ლაზარი 13  
პარხალი 32  
პეტრუშევსკი ი. პ. 29  
პილომა სუკა 43  
პირა კონბერი 37

პოლონეთი 16  
პორტუგალია 16

საათაბაგო 30  
საბერძნეთი 40  
სამარყანდი 13, 15, 18, 37, 43  
სამცხე 30  
სამხრეთ აზერბაიჯანი 28  
სამხრეთ საქართველო 20  
სასპერები 43  
სასპირი, სასპირები, სასპერი, სასპერე-  
ბი, სასეპარი, სასეპერები, სასეპარი,  
სასეპერები, საბირი, საბერები, სავეა-  
რი, სავეერები 43  
საურანის ოლქი 40  
საფრანგეთი 16, 14, 18, 19, 28  
საქართველო 12, 30, 38  
საქართველოს სამეფო 42  
სირია 28  
სირ-დარია 41  
სიურმალი იხ. სურმალი 40  
სომხეთი 19, 26, 29  
სომხითი 28  
სომხეთის სსრ 42  
სური 21, 32, 43  
სრეზნევსკი 19, 27, 42, 44  
სულთანი 13, 30, 42  
სულმარი იხ. სურმალი 18, 34, 43  
სურბ-მარი იხ. სურმალი 40  
სურმალი 19, 20, 34  
სურმენე 38, 44

ტაბატაძე კ. 22  
ტანა 16  
ტაო 32  
ტარტარი იხ. თათრეთი 41  
ტრაპიზონი 13, 21, 38, 42, 43, 44  
ტრაპიზონის იმპერია 38

უნგრეთი 16

ფარაჯი 27  
ფარსადან გორგიჯანიძე 27, 30

ქართლი 31

ყარსი 20, 21, 24, 36, 42, 44  
ყარაბახი 19, 23, 30  
ყარა-იუსუფი 26, 27, 28, 42  
ყარამანიელები 43  
ყირიმი 16  
ყუხჩიშვილი 17, 21  
ყივჩაღეთი 41

შალიბეკი 41  
შავი ზღვა 13, 16  
შამქორი 31  
შპ აბას დიდი 15  
შეიხ იბრაჰიმ ვალი 25  
შილტბერგერი 41, 42  
შირვანი 25  
შუა აზია 14, 15, 28  
შუა მდინარეთი 41

ჩალათაი 41  
ჩაუსკადი 43  
ჩინგიზ ყაენი  
ჩინეთი 16, 28, 42

Азербайджан 28  
Азия 40  
Алатаг 45  
Али-заде 29  
Африка 40  
Бартольд В. В. 41  
Босворт К. Э. 41  
Брун Ф. 40

Георгий VII 45  
Греков Б. Д. 19, 41  
Грузия 45

Золотая Орда 45  
Иван Атабаг 45  
Индия  
Иран 45  
Испирн 45

Кавказ 14  
Кара Юсуф 27

ჩრდილო იტალია 16  
ციმბირი 41  
ციტიშვილი ო. 42

წერაქვი (სოფელი) 21  
წმინდა ფრანცისკოს მონასტერი 14

ჭირქიმის ხეობა 32

ხახული 23  
ხმელთაშუა ზღვა 13, 16  
ხოი 13, 43, 44  
ხორეზმი 41

ჯავახიშვილი ივ. 12, 19, 23, 32  
ჯალაერი 28  
ჯალალ-ად-დინი 41  
ჯანაშია ს. 43  
ჯანსა მირზა 35, 36  
ჯიქია ს. 21, 43  
ჯუჩი 40

ჰაიტონი 40

Кастилья 45  
Клавихо РЮн Гонзалес де 19, 45.

Марко Поло 42

Насонов А. Н. 41

Петрушевский И. П. 28, 29  
Полневктов М. А. 14

Саатабаго 45  
Самарканд 45  
Свет Я. М. 42  
Срезневский И. И. 13

Тавრიз 45  
Тизенгаузен В. 41  
Тимур 13, 45  
Тифлис 14  
Тортом 45  
Тохтамыш 45  
Шилтбергер Иван 40

Хенниг Р. 17  
Эрикке III 45  
Якубовский А. Ю. 19, 41

Alacao 36  
Ambres 13  
Asia 44  
aspi 37  
avobaquir 36

Berlin 44  
Brosset M. 23

Claviyo Ruj Gonzalez de 15  
corcon 37  
çulmarun 34

Espagna 13  
Estrada Francisco Lopez de 13  
Filipe III 15

Garcia Silva 15  
Géorgie 23  
Giorgio. 41  
Gorgo 41  
gurgania 36  
Hafiz-i Abru 22

hedigui 35  
jan;a miraza 35  
jurgania 34

Klein Asien 44

Lasurmena об. Surmeneh 44  
London 15

Madrid 13  
Mariana Juan de 13  
Markham 15

Nizammudin Sami 22

Peterbourg 23  
Piahacabea 21  
pira conber 37  
Praha 22

Ritter Karl 44  
Roma 15

Samarkand 15  
Sivilla 15  
Strange G. Le 15  
sordo 41  
soroso 36  
sorso 41  
Surmeneh 44

Tamerlan 15, 19, 22, 23, 30, 42  
Tamurbeque 35  
tartalia 19, 35  
Tartaria Magna 41  
Tauer Felix 22  
Tierra de Araquiel 38  
Timour 15  
tomaix 34

Vial 36  
Viçer 37  
Xaabas de Persia 15  
xurmene 38